# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№135 (9815) 2024 წლის 25 ნოემბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი


## ისმინეთ, იდიოტებო!

თეიმურაზ ჯანელიძე

# ოპოზიციის პოლიტიკური სუიციდი



2





# ვინ გახდება საქართველოს მეექვსე პრეზიდენტი?!



4-7

თეიმურაზ ქორიძე



6

## ცრემლიან-სევდიანი მონოლოგი მშობლიური განათლების სისტემაზე

## ქართული არქიტექტურის კლასიკოსის გიგა ბათიაშვილის მომავლის პროექტები...

12



ნუგზარ რუხაძე

# კაცი, რომელიც ლეგენდარულ აბელზე გაცვალეს,

8

## ანუ ცივი ომის საიდუმლოებები

**გუშინ საქართველოში კიდევ ერთი სპორტული გამარჯვებების დღე იყო.**



საქართველოს რაგბის ეროვნულმა ნაკრებმა ტონგას ეროვნული ნაკრები დაამარცხა — **22-7**, საქართველოს საკალათ-ბურთო ნაკრებმა კი ფინეთის გუნდს სძლია — **81-64**!



**გილოცავთ ბიჭებო!**

# ოპოზიციის პოლიტიკური სუიციდი




გოლო ხანს ისეთ ტურბულენტურ გარემოში გვიწევს ქართველებს ცხოვრება, მხოლოდ ღმერთმა იცის, რა სირთულეების წინაშე აღმოვჩნდებით უახლოეს მომავალში.

მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია მოახდინა, ქართული სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო არაღიარების პოლიტიკა, რასაც მეტ-ნაკლები წარმატებით გავართვით თავი. შესაძლოა, პარადოქსულადაც კი მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ იგივე სირთულის წინაშე ვდგავართ ამჟამადაც, როცა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა აღიარების პოლიტიკა, რაც 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმაციას გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა უახლოესმა მეზობლებმა და კიდევ რამდენიმე გავლენიანმა სახელმწიფომ აღიარეს არჩევნების შედეგები, პროცესები აშკარად შეფერხებულია, რაც რევანშისტული იდეებით შეპყრობილი ოპოზიციის წისქვილზე უშვებს წყალს. გასაგებია, რომ ჯო ბაიდენ-ენტონი ბლინკენისა და ჯიმ რიში-ჯეინ შაჰინის ანტაგონისტური დამოკიდებულების პირობებში, აშშ-ის ამჟამინდელ ადმინისტრაციას ყელში თევზის ფხასავით აქვს გაჩხერილი „ქართული ოცნება“, თუმცა, არც ევროკავშირში არიან აღტაცებული იმ სახელისუფლებო პარტიის წარმატებით, რომელმაც რიგ საკითხებთან დაკავშირებით შესაშური სიმტკიცე და პრინციპულობა გამოავლინა.

**მართალია, საკუთრივ არჩევნების თემას არ უკავშირდებოდა, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტმა, გერმანიის კანცლერმა და პოლონეთის პრემიერ–მინისტრმა ისეთი ულტიმატუმი წამოუყენეს საქართველოს ხელისუფლებას, ქვას რომ გახეთქავდა: სანამ უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობისა და ოჯახური სიწმინდის დაცვის შესახებ კანონებს არ გააუქმებთ, ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გახსნის იმედი ნუ გექნებათო.**

ასეთი ულტიმატუმის ფონზე, აბა რა მოსატანია, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ გაცილებით კორექტული იყო ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი, რომელმაც ხსენებულ კანონებს საკამათო კანონების კვალიფიკაცია მისცა, რაც მისაღები ფორმულირებაა.

ცნობისათვის, სამი გავლენიანი ევროპული სახელმწიფოს ას მეთაურთა ულტიმატუმში იმ ევროკავშირში გაწევრების ალბათობაზეა საუბარი, რომელსაც იგივე მაკრონის თანამემამულემ, საფრანგეთის პარტია „ნაციონალური ფრონტის“ თავმჯდომარემ მარინ ლე პენმა დაუსვა უიმედო დიაგნოზი 2015 წელს:

## ევროკავშირი გახდა დიქტატორული სექტა, რომელიც დაკავებულია ტვინის გალაყებითა და შანტაჟით!

ევროკავშირი რომ მუქარითა და შანტაჟით არის დაკავებული, ეს ჩვენზე უკეთ არავინ იცის, ხოლო რაც შეეხება ტვინების გალაყებას, ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს ე.წ. სამოქალაქო სექტორი და მისგან მართული, ანალიტიკურ აზროვნებას მოკლებული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ კოორდინირებულად მოქმედებენ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ დესტრუქციული ძალები, შეგვიძლია, დავიმოწმოთ ბოლოდროინდელი ფაქტები. კერძოდ, მიმდინარე წლის 18 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ბრიუსელში გაიგზავნა ოთხი ბარიერგადალახული სუბიექტის პირველი პირების მიერ ხელმოწერით დადასტურებული და უსაფუძვლო ბრალდებებით გაჯერებული წერილი, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საკითხებში ჯოზეფ ბორელმა გააჟღერა საქართველოს მოქმედი ხელისუფლებისთვის სახიფათო და რევანშიზმის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი ოპოზიციის გამამხნევებელი გზავნილები, რომელშიც ვექტორის ცვლილებაზეც იყო აქცენტი გაკეთებული.

**სენიორ ბორელმა იმის პირობაც დადო, რომ უახლოეს დღეებში გამოგზავნიდა ტექნიკურ მისიას, სადავო საკითხებში გარკვევისა და მეტი სიცხადის შეტანის მიზნით.**

## კი ბატონო, გინდ ტექნიკური მისია გამოგზავნეთ და გინდაც კათოლიკე მისიონერები, მაგრამ კეთილი ინებეთ და, საბჭოთა პერიოდის კლასის დამრიგებლის ტონით ნუ დაგველაპარაკებით სუვერენული სახელმწიფოს თავმოყვარე მოქალაქეებს!

18 ნოემბრის აპოთეოზი იყო ბედის ირონიითა და გარემოებათა წყალობით პრეზიდენტად აღზევებული სალომე ზურაბიშვილის ბრიფინგი, რომელმაც ლამის იმპერატორობა მოიწადინა და უფლებამოსილებას განუსაზღვრელი დროით გახანგრძლივება მოითხოვა, როგორც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ერთპიროვნულმა გარანტმა.

**რა გაეწყობა, მოგეხსენებათ, თავს ზემოთ ძალა არაა. სადაც ამდენი მოგვითმენია, ცოტაც კიდევ უნდა მოვითმინოთ და მერე „გამამხნევებელი“ შეძახილებით გავაცილოთ პოლიტიკურ მოუსვლეთში.**

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით მომზადებული წერილი ბრიუსელში საკუთარი ხელით ჩაიტანა იმ თინა ბოკუჩავამ, რომელიც რამდენიმე თვის წინათ შხამიანი ასპიტივით სისინებდა, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, რათა ამ ხელისუფლების პირობებში, საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიიღოსო!

საკმარისია პოლიტიკური ვნება აბობოქრდეს, რომ ისპობა მორალური დაბრკოლება და ქრება წესრიგი. ის კი არა, მიპარვით მკვლელობაც კი მსხვერპლშეწირვად ითვლებაო, წერდა შტეფან ცვაიგი. მართალია, საქმე ე.წ. საკრალურ მსხვერპლშეწირვამდე არ მისულა, თუმცა ლაჩრულად მიპარვის სამარცხვინო მაგალითები უკვე გვაქვს, როგორც საკანონმდებლო ორგანოში, ისე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.ორივე შემთხვევაში ეს იყო მდაბიო საქციელი, რამაც საღად მოაზროვნე საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია.

ამ უთავმოყვარეო მოძალადეებს, როგორც ვატყობ, რაინდულ საქციელსა და ღირსებაზე ბუნდოვანი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ, ამიტომ თავს უფლებას მივცემ, შევახსენო ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი: **„თუ უმძრახი კაცნი ერთმანეთს შემოეყარნენ და ერთმან გზა დაუგდოს და გაერიდოს, მეორე ნუღარ მისდევს. თუ მოსდიოს და ის გარიდებული მოკლას, ორკეცი სისხლი მისცეს და თუ მიმდევარი მოკვდეს, მისგან სისხლმან ჩაიაროს.“**

ვისაც პოლიტიკაში ყოფნა და ხელისუფლებით ტკბობა გადაუწყვეტია, კეთილი ინებოს და განუხრელად უნდა დაიცვას თმენის ვალდებულება, ისეთივე თავშეკავებით, როგორც მოიქცა ცესკოს

**ზედმეტად მიამიტი უნდა იყოს ადამიანი იმის დასაჯერებლად, რომ რუსთაველზე გასაშლელი ლეიბები, რაზეც თამარ ჩარკვიანი ლაპარაკობს და ნიკა გვარამიას კარვები, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამით იყოს შემოტანილი საქართველოში.**



# ისმინეთ, იდიოტებო!

საქართველო რესპუბლიკა





**თუ უმძრახი კაცნი ერთმანეთს შემოეყარნენ და ერთმან გზა დაუგდოს და გაერიდოს, მეორე ნუღარ მისდევს. თუ მოსდიოს და ის გარიდებული მოკლას, ორკეცი სისხლი მისცეს და თუ მიმდევარი მოკვდეს, მისგან სისხლმან ჩაიაროს.**

**ვახტანგ ბატონიშვილი**

თავმჯდომარე, რომელსაც ერთი ნაკვთიც კი არ შეტოკებია სახეზე, უკიდურესი შენაგანი მღელვარების მიუხედავად.

პოლიტიკური ლექსიკონის განმარტებით, ამორალიზმი არის ნიჰილისტური დამოკიდებულება მორალისადმი, ხოლო მისი გამოვლინების ფორმებია ცინიზმი, კაცთმოძულეობა, უპრინციპობა და ეგოიზმი. ამორალიზმის ოთხივე ეს გამოვლინება იკითხებოდა თინა ბოკუჩავას და გიორგი ვაშაძის გამომეტყველებაში, რომლებმაც არათუ დაგმეს მათი წარმომადგენლის უღირსი საქციელი, არამედ მისი მასიურად გამოყენებისკენაც კი მოუწოდეს მხარდამჭერებს.

ამორალიზმის მკაფიო გამოვლინება იყო საპროტესტო აქციის ერთ-ერთი მონაწილე ქალის ვერბალური დივერსია, რომელიც სალომე ზურაბიშვილისა და ნატა ფერაძის ლექსიკით შეურაცხოფდა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ პოლიციელს. აღარაფერს ვამბობ იმ ძალადობასა და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, რასაც ადგილი აქვს ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ტელევიზიების ჟურნალისტ-ოპერატორებთან მიმართებაში!

## პარტია, რომელიც დამარცხდა და არ ყოფნის გამბედაობა, აღიაროს მარცხი, იდიოტების პარტიააო, წერდა კარლ მარქსი.

შესაძლოა, მარქსის იდეები არ მოგწონდეს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში პიტალო ჭეშმარიტებას ღაღადებს! ფრანსუა მიტერანის პარტია 23 წელი იყო ოპოზიციაში, მაგრამ არ გაბოროტებულა, მოთმინებით აღიჭურვა და მხოლოდ ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ გახდა საფრანგეთის პრეზიდენტი.

**არჩევნების წინა პერიოდში ოპოზიციის იმედგაცრუებას რომ ვპროგნოზირებდი, სიქსტის კაპელაზე გამოსახული წინასწარმეტყველების ალღო კი არ მკარნახობდა, პოტენციური ამომრჩევლის რეაქციას ვაკვირდებოდი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სადაც უბრალო ადამიანები გულწრფელად საუბრობენ ერთმანეთში.**

✦ ✦ ✦

**თუ** ხელისუფლება გონს არ მოეგება და მოპარულ არჩევნებს არ დაგვიბრუნებს, მიიღებს ქალების რევოლუციასო, დაიქადნა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში დაფრთიანებულმა ანა დოლიძემ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესასვლელთან გამართულ იმ საპროტესტო აქციაზე, სადაც მისი უმცროსი კოლეგა და ამჟამინდელი პოლიტიკური პარტნიორი ანა ნაცვლიშვილი, კაკოია თაბაგარის მიერ შედგენილი სილაბუსით ატრენინგებდა მხარდამჭერ ქალბატონებს.

რევოლუციას, ქალების იქნება იგი თუ პოლიტიკური ალქაჯების, სჭირდება არა მარტო იდეოლოგიური მომზადება, არამედ ფინანსური და ადამიანური რესურსი. პირველ ორ კომპონენტთან დაკავშირებით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ადამიანური რესურსის მწვავე დეფიციტი რომ იგრძნობა ოპოზიციაში და მხარდამჭერების კრიტიკულ რაოდენობას ვერ აგროვებენ, ეს ხომ ცხადზე უცხადესია?

რაც შეეხება პირობით დასახელებას, ირანელი ქალების რევოლუციური თავგანწირვის ამბავი ვიცით და ამერიკელი ფერადკანიანი ქალის როზა პარქსის ავტობუსის ბოიკოტის თაობაზეც გაგვიგია ყურმოკვრით, თუმცა, მშვიდობისმოყვარე ქართველი მანდილოსნები რევოლუციის ბარიკადებზე ვერაფრით წარმომიდგენია!

**მიშელ ტალეირანის ასოციაციური შედარებით, ხელისუფლება ის მაღალი კლდეა, რომელზედაც უნდა აფრინდე, როგორც არწივი, ან უნდა ახოხდე როგორც გველი. ამ ქრესტომათიული ჭეშმარიტების კომენტირების აუცილებლობას ვერ ვხედავ, დაკვირვებული მკითხველი მარტივად გამოიცნობს, რომელ ასოციაციას იწვევს საზოგადოებაში ოპოზიციის თავგანწირული სწრაფვა სახელისუფლო მწვერვალებისკენ.**

შესაძლოა, აქციის გულწრფელმა მონაწილეებმა არ იცოდნენ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური ქაოსია, ეკონომიკა არ ვითარდება და მოსახლეობა სხვაზე დამოკიდებული ხდება. სამაგიეროდ, ეს კარგად იციან იმ შინაურ-გარეულმა ექსტრემისტებმა, რომ დადგა ფეხზე უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში. სწორედ ამ დივერსიული აქტის განხორციელებას ისახავდა მიზნად ჟოზეფ ბორელის ბოლოდროინდელი მუქარა – საქართველოს სახელმწიფოსთვის გამიზნულ 120 მილიონ ევროს სამოქალაქო სექტორზე გადავანაწილებთო!

ბატონმა ბორელმა, ცხადია, მშვენივრად იცის, ე.წ. მდიდარი ენჯეოები და ხელისუფლებასთან დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიები ფინანურადაც რომ არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვული, მაგრამ მიზანმიმართულად ქმნის ხელსაყრელ გარემოს, სამოქალაქო დაპირისპირების ესკალაციისთვის. ზედმეტად მიამიტი უნდა იყოს ადამიანი იმის დასაჯერებლად, რომ რუსთაველზე გასაშლელი ლეიბები, რაზეც თამარ ჩარკვიანი ლაპარაკობს და ნიკა გვარამიას კარვები, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამით იყოს შემოტანილი საქართველოში.

**ფიზიკური პარამეტრებისა და ქცევის მანერების მიუხედავად, ოთხივე ოპოზიციური სუბიექტის ლიდერები რომ არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თვალნათლივ დაადასტურა გახარიას საქციელმა, რომელმაც ღიად მოუწოდა საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს, არ დაესწრონ მე-11 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომას, რათა ასეთი დემარშით მოახდინონ 26 ოქტომბრის არჩევნების დისკრედიტაცია. არასახარბიელო ვითარების გათვალისწინებითაც კი, არ მგონია, საქართველოსადმი კეთილგანწყობილი სახელმწიფოების ელჩებმა იმ პოლიტიკური დაჯგუფების პოპულისტური მოწოდება იღონ ყურად, რომლის მხარდამჭერთა რაოდენობა გვალვაში ამოსული სიმინდის ყანასავით არის შეთხელებული და ბარიერგადალახული ოთხ სუბიექტს შორის, მეოთხე ადგილი აქვს დაკავებული.**

**უცხოელი მეგობრები გვსაყვედურობენ, ოპოზიციაში გამოკვეთილი ლიდერი არ გყავთ, ვისაც დაველაპარაკებითო, დაიჩივლა თინა ბოკუჩავამ ევროპის პოლიტიკური დედაქალაქიდან. აბა, რა გეგონათ, უფლის შეწევნით,**

**თუ ხელისუფლება გონს არ მოეგება და მოპარულ არჩევნებს არ დაგვიბრუნებს, მიიღებს ქალების რევოლუციასო, დაიქადნა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში დაფრთიანებულმა ანა დოლიძემ...**



რომელთა დაუოკებელი მიზანია, მიწასთან გაასწორონ ქართული ეკონომიკა, რის ვაი-ვაგლახით

**კონტინენტურ ევროპაში ჯერ კიდევ არიან საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები, რომლებიც ხედავენ, რომ კოლექტიურმა ოპოზიციამ ერთდროულად ჩაიტარა ხარაკირი და განახორციელა პოლიტიკური სუიციდი. ცხადია, არცერთი თავმოყვარე უცხოელი პოლიტიკოსი ლევან ხაბეიშვილს და ტოპ-ტვინების თვალსაჩინო წარმომადგენელ გრიგოლ გეგელიას არ დაელაპარაკება, ხოლო მიხეილ სააკაშვილი, მისი განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე, თავად არ მოინდომებს დაბალი რანგის მედიატორებთან კომუნიკაციას. გამოდის, რომ ეს არის ჩიხური სიტუაცია, რომელიც აიძულებს ჩვენს უცხოელ მტერ-მოყვარეს, ითანამშრომლონ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან, რაც სასარგებლო იქნება ორივე მხარისთვის, სამომავლო ინტეგრაციის ინტერესების გათვალისწინებით – პოლიტიკა ხომ კომპრომისების ხელოვნებაა.**



To: Josep Borrell Fontelles - High Representative of the Union for Foreign Affairs and Security Policy

**Ministers of Foreign Affairs of the EU Member States:** Alexander Schallenberg, Hadja Lahbib, Ivan Kondov, Gordan Grlić Radman, Constantinos Kombos, Jan Lipavský, Lars Løkke Rasmussen, Margus Tsahkna, Elina Valtonen, Jean-Noël Barrot, Annalena Baerbock, Giorgos Gerapetritis, Péter Szijjártó, Micheál Martin, Antonio Tajani, Baiba Braže, Gabrielius Landsbergis, Xavier Bettel, Ian Borg, Caspar Veldkamp, Radosław Sikorski, Paulo Rangel, Luminița Odobescu, Juraj Blanár, Tanja Fajon, José Manuel Albares Bueno, Maria Malmer Stenergard

**Your Excellencies,**

Given the upcoming EU Foreign Affairs Council discussion regarding the parliamentary elections in Georgia, we would like to share the position of the pro-European opposition parties regarding the political situation in the country. Based on preliminary results and independent analysis, these four parties collectively received 52% of the popular vote, if the elections had been free and fair

... integration is a unifying vision for Georgia, representing our shared aspiration to ... to Europe-whole and free. However, the October 26 elections have created an ...



**საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით მომზადებული წერილი ბრიუსელში საკუთარი ხელით ჩაიტანა იმ თინა ბოკუჩავამ, რომელიც რამდენიმე თვის წინათ შხამიანი ასპიტივით სისინებდა...**



**თეიმურაზ ჯანელიძე,**
წყალტუბო – ჩუნეში.

# პარლამენტის პირველ სხდომაზე არ მიუწვევიათ!



## დავით ქართველიშვილი: ელჩებმა მადლობა თქვან, საგარეო საქმეთა სამინისტროში ახსნა-განმარტებისთვის რომ არ დაიბარეს!



„ქართული ოცნება“ მე-11 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომას ელჩების გარეშე გამართავს. როგორც მმართველ გუნდში განმარტავენ, ეს არის სახალხო ზეიმი და მათ შორის უცხოელების არასწორი გავლენის მინიმიზების მიზნით, ელჩებისა თუ სხვა ქვეყნების ჩართულობა ამ პროცესში აუცილებელი არ არის. ასევე, ეს არის მხოლოდ კეთილი ნება და ხელისუფლებას ელჩების სხდომაზე მიწვევის ვალდებულება არ აქვს.

მიუხედავად ამ განმარტებისა, ოპოზიციაში მაინც ცდილობენ, რომ ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკური სარჩული დაედოს. როგორც ოპოზიციაში ამბობენ, ელჩები ისედაც არ აპირებდნენ ამ სხდომაზე დასწრებას, ამიტომ „ოცნება“ ტყუის, როდესაც ამბობს, რომ მათი დაპატიჟება არ უნდოდათ.

პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქართველმა ხალხმა უნდა იზეიმოს საკუთარი პარლამენტის პირველი სხდომა.

„მე-11 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე ელჩები არ მოგვიწვევია. პარლამენტის პირველ სხდომაზე მოწვეულები არიან მთავრობის წევრები და კონსტიტუციური ორგანოების წარმომადგენლები. რაც შეეხება ელჩებს, ისინი პირველ სხდომაზე არ არიან მოწვეულები. ეს გახლავთ ჩვენი შიდა, სახელმწიფოებრივი საკითხი და მათ შორის უცხოელების არასწორი გავლენის მინიმიზების მიზნით, ელჩებისა თუ სხვა ქვეყნების ჩართულობა ამ პროცესში აუცილებელი არ არის.

ჩვენ, ქართველებმა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს არის საქართველოს პარლამენტი, რომელშიც ახლად არჩეული პარლამენტის წევრებთან ერთად, წარმოდგენილები იქნებიან მთავრობა და კონსტიტუციური ორგანოები. ეს არის ზოგადი მიდგომა, რაც ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია, პარლამენტს ჰქონდეს. ეს არის ქართველი ხალხის ზეიმი და ქართველმა ხალხმა უნდა იზეიმოს საკუთარი პარლამენტის პირველი სხდომა“, – განმარტა **შალვა პაპუაშვილმა.**

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** for.ge-სთან ამბობს, რომ „ქართული ოცნებისგან“ ეს გადადგმული ნაბიჯი პოლიტიკური მანევრია, რადგანაც მმართველმა გუნდმა, როგორც ჩანს, ისედაც იცოდა, რომ ელჩების დიდი ნაწილი სხდომაზე არ აპირებდა მისვლას, ამიტომაც ისინი ოფიციალურად აღარ მიიპატიჟა.

„აქ ადგილი პოლიტიკურ მანევრს აქვს და, ალბათ, „ოცნების“ მხრიდან სწორიც არის, რადგან მათ კარგად იციან და კულუარული ინფორმაციებიც აქვთ იმის შესახებ, რომ ელჩების დიდი ნაწილი არ მივიდოდა. ამიტომაც მათ დაასწრეს და არ მიიწვიეს. ანუ არ გამოვა ისე, რომ ოპოზიციას ჰქონდეს საბაბი სასაუბროდ, აი, ელჩებიც კი არ მივიდნენ და ამ პარლამენტს არც დასავლეთი არ აღიარებს. ამიტომ მოსაწვევებიც არ გაუგზავნეს. მეორე მხრივ, ალბათ, ახლა ყველაზე მეტად სურს „ოცნებას“, რომ ელჩები მისულიყვნენ ამ სხდომაზე და არჩევნების ერთგვარი აღიარების საჩვენებელი ფაქტი ყოფილიყო, მაგრამ ფაქტია, აქვთ ინფორმაცია, რომ ისინი არ მივლენ.

თუკი სხდომას ამერიკის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის ელჩები არ დაესწრებიან, ამას ძალიან დიდი პოლიტიკური სახე მიეცემოდა. ამიტომ მმართველმა გუნდმა ჩათვალა, რომ სჯობს საერთოდ არც არავინ დაეპატიჟა. ახლა მათ არჩევნების აღიარების სერიოზული პრობლემა უდგათ. მოლოდინის რეჟიმშია ყველა და ვხედავთ, რომ მაინც ევროპა თავს იკავებს რაიმე მკვეთრი განცხადებისგან და ნაბიჯების გადადგმისგან. ამიტომ არავის უნდა, რომ სიტუაცია დამატებით გამწვავდეს. შესაბამისად, მიიღეს ეს გადაწყვეტილება. ლოგიკურად რომ დავფიქრდეთ, სწორიც არის“, – ამბობს ძაბირაძე.

მისივე თქმით, ახლა იმის თქმა, რომ ამას რაიმე კატასტროფა მოჰყვება და ქვეყნის შიგნით მოსახლეობა დიდად ინერვიულებს, ნაკლებად მოსალოდნელია. ალბათ, ყველაზე მეტად ეს საკითხი „ოცნების“ ამომრჩეველს არ ადარდებს. მეორე მხრივ კი მმართველი გუნდი ამას შეფუთავს ისე, რომ აი, იმდენს გვლანძღავდნენ ეს ელჩები და ისე ერეოდნენ ჩვენს შიდა საქმეებში, რომ დაპატიჟების ღირსები არც იყვნენ. მისი ამომრჩევლისთვის კი ეს საკმარისია. თუმცა ამაზე არც მოსახლეობის უმეტესობა არ შეწუხდება.

„სიტუაცია იმდენად არის დაძაბული და ისე შეეჩვია ჩვენი მოსახლეობაც უკვე ამ დასავლეთთან დაპირისპირებას, რომ ალბათ, ეს მათთვის ძალიან უმნიშვნელო ამბავი იქნება. კი ბატონო, ოპოზიცია შეეცდება ამ ფაქტის პოლიტიკურად გამოყენებას, დაიწყებს მანიპულაციას, რომ აი, ელჩებიც კი არ იყვნენ ამ სხდომაზე მიწვეულები. ეს რა ლეგიტიმური პარლამენტია, როცა არც ოპოზიცია ესწრებოდა, არც ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ელჩები და არც სასულიერო პირები. თუმცა ამას საზოგადოებისთვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ყველა რაღაცას ელოდება და ეს რაღაცა არის ამერიკა და ტრამპის მოქმედებები. ამიტომ როგორც უკვე ვთქვი, „ოცნება“ თავის დღის წესრიგს მიჰყვება და ისიც იანვრის შემდეგ მოვლენებს დაელოდება. თუ მანამდე გაძლო ოპოზიციამ ამ რეჟიმში და ცდუნებას არ აჰყვნენ, პარლამენტში არ შევიდნენ, ხომ კარგი. თუ შევლენ, მაშინ პოლიტიკურად გაბანკროტდებიან და იმ მხარდამჭერებსაც დაკარგავენ, რაც ახლა არჩევნებში ჰყავდათ. მთელი 4 წელი კი „ქართული ოცნების“ „საღადაოები“ გახდებიან“, – ამბობს ძაბირაძე.

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** კი for.ge-სთან ამბობს, რომ ელჩების დიდი ნაწილი პირდაპირ ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიაში იყვნენ ჩართულები და ხელისუფლებას ხან რუსეთუმეს უწოდებდნენ და ხან რუსეთის პოლიტიკის გამტარებელს. შესაბამისად, თავმოყვარეობა ხელისუფლებასაც აქვს და ამიტომ სულაც არ ჰქონდა ვალდებულება ელჩების მოწვევის. შესაბამისად, მიიღეს ის გადაწყვეტილება, რაც პოლიტიკურად ყველაზე მეტად წაადგებოდათ.

„ჩამოყალიბდნენ, ვისთან აქვთ საქმე – იმ ხელისუფლებასთან, რომელმაც ქართველი ხალხის მეშვეობით გაიმარჯვა თუ პრორუსულ ხელისუფლებასთან. მოდი, ჯერ თავად ეს ელჩები ჩამოყალიბდნენ და მერე შეიძლება სხვა რამეებზეც იყოს საუბარი. ძალიან სწორად იქცევა დღეს ხელისუფლება, რადგან ამ ბულინგის, შეურაცხყოფის, ცილისწამების ფონზე, რაღაცა ჯენტლმენობის თამაში არასწორი და არასერიოზულია. ეს ხალხი, რომელიც ქუჩაქუჩა დადის და არანაირი გეგმა არ გააჩნია, ხომ დაინახეს ამ ელჩებმაც, რომ ხალხი ამათ არ მიჰყვება. თუ გაყალბებულ არჩევნებზეა საუბარი და იმაზე, რომ ხალხი გაბრაზებულია, მაშ, სად არის ეს ხალხი? ამას ეს ელჩები ვერ აანალიზებენ? თუკი ეს სახელმწიფო და ხელისუფლება რუსულია, მაშინ ოპოზიციასაც მოუწოდონ, რომ ის ფული, რომელიც მათ პარტიებს ბიუჯეტიდან დაფინანსების სახით ეკუთვნით, არ აიღონ. აქ მილიონობით ლარებზეა საუბარი. აბა, ვნახოთ, 25 ნოემბრის შემდეგ, როცა მათი ლეგიტიმაციის ცნობა მოხდება, რას იზამენ – ჩახსნიან სიებს? თუ არადა, მაშინ, იქნებ, ამის შემდეგ მაინც მოიხადონ ამ ელჩებმა ბოდიში, რომლებიც პირდაპირ საარჩევნო კამპანიაში იყვნენ ჩართულები“, – ამბობს ქართველიშვილი.

მისივე თქმით, ამის გამო არც „ოცნების“ ამომრჩეველი ინაღვლებს, ელჩები პარლამენტში იქნებიან თუ არა დაპატიჟებულები და არც ოპოზიციის მომხრეები მოიკლავენ თავს. ფაქტი სახეზეა, რომ ბოლო დროს ისინიც მიხვდნენ ოპოზიციის რეალურ სახეს და მიზნებს, თუ ქუჩაში რის გამო დაატარებდნენ.

„მთელი რიგი საელჩოების წარმომადგენლები და ელჩები მხარეს წარმოადგენდნენ და მათი წაქეზებით და პირდაპირი მოქმედებებით მიმდინარეობდა ქვეყანაში ანტისახელმწიფოებრივი პროცესები. რა სახის განცხადებებს აკეთებდნენ თავად ეს ელჩები, ოპოზიციის ლიდერებისგან ვეღარ განასხვავებდით. კარგით რა, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ მათ, რომ მოსაწვევებს მიიღებდნენ? მადლობა თქვან, საგარეო საქმეთა სამინისტროში ახსნა-განმარტებისთვის რომ არ დაიბარეს“, – ამბობს ქართველიშვილი.

მოამზადა
**ლიკა ბერიკაშვილმა.**

# ვინ გახდება საქართველოს მეექვსე პრეზიდენტი?!

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი კვლავ ირაკლი კობახიძე იქნება, პარლამენტის თავმჯდომარედ კი ფრაქცია ისევ შალვა პაპუაშვილს წარადგენს. ამ ეტაპზე სხვა საკადრო ცვლილება არ იგეგმება, თუმცა კობახიძის სამთავრობო კარუსელი დეკემბერში დატრიალდება, მაშინ, როდესაც „ქართული ოცნება“ დაასახელებს საპრეზიდენტო კანდიდატს. არსებული ინფორმაციით, საკადრო ცვლილება შეეხება თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებს. სამთავრობო ცვლილება შეეხება ეკონომიკურ გუნდსაც.

რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს, ვინ გადავა ორბელიანების სასახლეში, ანუ ვინ გახდება საქართველოს მე-6 პრეზიდენტი?

პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩაინიშნოს პარლამენტის პირველი სხდომის შემდეგ, თუმცა ამის კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ არის, მაგრამ მომდევნო დღეებში „ქართული ოცნება“ განსაზღვრავს თარიღს. იანვრის პირველი ნახევრისთვის პროცედურები უკვე დასრულებული იქნება. როგორც ცნობილია, მომავალ პრეზიდენტს პარლამენტში 300 ხმოსანი აირჩევს.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, საპრეზიდენტო არჩევნების დაგეგმვა არის კანონით გაწერილი და სწორედ ამ კანონის მიხედვით მოხდება ყველაფერი. ეს არ არის ვიღაცის ნება-სურვილზე დამოკიდებული, ამიტომ პარლამენტი როდესაც შეიკრიბება, ის დაადგენს საპრეზიდენტო არჩევნების კონკრეტულ დღეს.

**„პრეზიდენტის კანდიდატურის დასახელება შეუძლია 300 ხმოსნიდან 30-ს, ოღონდ მხოლოდ ერთი კანდიდატურის წარმოდგენა შეუძლია. კანდიდატმა პირველ ეტაპზე უნდა მიიღოს ხმების 2/3, ვერმიღების შემთხვევაში იქნება მეორე კენჭისყრა, სადაც უბრალო უმრავლესობით მოხდება მისი არჩევა. ეს პროცედურები დაახლოებით იანვრის პირველი ნახევრისთვის უკვე დასრულებული იქნება“,** – აღნიშნა ირაკლი ქადაგიშვილმა.



ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, ამის შესახებ მმართველ გუნდში ამ ეტაპზე არ საუბრობენ, თუმცა კულუარებში უკვე სახელდება სავარაუდო კანდიდატები – ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი; სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი და მე-10 მოწვევის დეპუტატი კახი კახიშვილი; ყოფილი პრემიერ-მინისტრი და „ქართული ოცნების“ დეპუტატი ირაკლი ღარიბაშვილი და ასევე იუსტიციის და კულტურის ყოფილი მინისტრი დეპუტატი თეა წულუკიანი.

გაგრძელება მე-7 გვ.

SOS!

საქართველოს რესპუბლიკა



## პუტინის ცინიკური მუქარა

**პუტინი ისევ იმუქრება და აცხადებს, რომ რუსეთი ახალი ბალისტიკური რაკეტის ბრძოლის ველზე გამოცდას გააგრძელებს.**

განცხადება კრემლის ლიდერმა თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო სამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას გააკეთა და ისიც აღნიშნა, რომ რუსეთი აღნიშნული რაკეტების სერიულ წარმოებას დაიწყებს.

ეს არის რაკეტა, რომლის ჩამოგდება არავის შეუძლია, — დასძინა პუტინმა!

**ყველაფერ ამას ვლადიმერ პუტინი დიდი კმაყოფილებით, ღიმილით და ცინიზმით ამბობდა... ბუნებრივია, მსოფლიოს ყველაზე დიდი აგრესორი სახელმწიფოს ლიდერი ახალი ბალისტიკური რაკეტებით და დიპლომატიური ცინიზმით დასავლეთს ამუნათებდა და გაპარტახებული უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას აშინებდა... ამერიკისა და ევროპის საქმე გაცილებით უფრო ცუდად არის, ვიდრე დონალდ ტრამპს წარმოუდგენია!..**




## ქვეყნისთვის სახელის შელახვაში ნაციონალური მოძრაობის უდიდესი წვლილია!

**საერთაშორისო** არენაზე, ჩვენთვის, ანუ ქვეყნისთვის სახელის შელახვის, გაშავების და ჩვენ პარტნიორებზე დეზინფორმაციის მიწოდების საქმეში, უდიდესი წვლილია ნაციონალური მოძრაობის და მათი სატელიტების. მაგრამ ასევე წვლილი მიუძღვით, გარკვეულ ქვეყნებში ჩვენი დიპლომატიური მისიების ზოგიერთ წარმომადგენლებს და ადგილზე მომუშავე ზოგიერთ ამავე უწყების თანამშრომელს. როგორც, მინიმუმ, თავისი საქმის არაჯეროვნად შესრულების და როგორც, მაქსიმუმ, შეგნებული საბოტაჟის სახით. იმის მტკიცება მათი მხრიდან, რომ აპოლიტიკურნი არიან, არის სრული სიცრუე. ეს სიცრუე კიდევ, პირდაპირ გამოსჭვივის მათგან, გინდა ქცევებში, გინდა საუბრებში და გინდაც სოცქსელებში მათი აქტივობებით. იყავი აპოლიტიკური, თავისთავად ცხადია, მაგას არავინ გიშლის, მაგრამ ემსახურე შენს ქვეყანას და არ ემსახურო აგენტურის ინტერესებს. რომელი ინტერესიც სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანაში კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის სახით არის წარმოდგენილი, — წერს სოციალურ ქსელში გიორგი გამსახურდია.

### მართალს ვიტყვი!

# გრცხვენოდეთ, ევროპელებო!



**ძვირფასო მკითხველო, ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ ჩემეული შეფასებით დავიწყებ:**

— დღევანდელ ევროკავშირს და ევროსტრუქტურებს მომავალი არა აქვთ, ისინი სულიერი და ფიზიკური კვდომისკენ, გადაშენებისკენ მიემართებიან!

— ევროპის არცერთი ქვეყანა აღარ მრავლდება, ყოველწლიურად მცირდება, მათ ადგილს კი აზიელი და აფრიკელი მიგრანტები იკავებენ. მეჩეთებმა და სხვადასხვა რჯულის კონფესიების ნაგებობებმა მოიცვა ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც ლიბერალიზმა „შთანთქა", ვინაიდან მათ ქრისტიანული მორალი უარყვეს.

— ევროკავშირი არის ყოველივე იმის პროპაგანდისტი, რისი წინააღმდეგიც ვართ ჩვენ, საქართველოს საღად მოაზროვნე საზოგადოება, ჩვენი ღირსეული და უძველესი ღირებულებებით — ისტორიით, კულტურით, ტრადიციებით, ხელოვნებით, რწმენით, თუნდაც დამწერლობით და ოჯახური სიწმინდით.

— ევროკავშირი გვიყურებს და გვაფასებს როგორც ჯუნგლების ბინადართ, ამიტომ ევროსტრუქტურებიდან არავითარ სიკეთეს არ უნდა ველოდოთ. მათი დიპლომატები (თუ მათ დიპლომატები ჰქვიათ) უხეშად ერევიან ჩვენს საშინაო საქმეებში.

— სამწუხაროდ ისინი ჩვენს კეთილგონიერ, ხალხისა და ქვეყნის მოამაგე, კეთილსინდისიერ ხელისუფლებას კი არ უჭერენ მხარს, არამედ ქვეყნის დამაქცევარ, დაუძინებელ მტრებს, რადიკალურ ოპოზიციას და ლიბერასტულ არასამთავრობოებს, რომლებსაც მსუყედ აფინანსებენ, ისინი მათ დეზინფორმაციასაც კი უფინანსებენ!

— გრცხვენოდეთ, ევროპელებო!!!

— არ იფიქროთ, რომ ეს თქვენი არაკეთილგონიერი, არაობიექტური და უსამართლო უსაქციელობა დიდხანს გაგრძელდეს!

— ყოველგვარ უკეთურობას აქვს მწარე დასასრული!

— სააკაშვილის ცხრაწლიანი უბოროტესი მმართველობის და ყველა არჩევნების ტოტალური გაყალბების დროს არც ერთხელ არ გამოგითქვამთ უკმაყოფილება, თუნდაც კრიტიკა, რატომ? იმიტომ, რომ თქვენ გაწყობდათ და გახარებდათ „თქვენი ძაღლის" და უგუნური ლიბერასტების უმსგავსობა.

— ახლა კი საოცრად გაბოროტდით, რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დღევანდელ შორსმჭვრეტელ, წარმატებულ, ხალხზე მოფიქრალ ხელისუფლებას...

— ძვირფასო ევროპელებო, ნუ დაუჯერებთ თქვენგან უკანონოდ დაფინანსებულ ჭკუასუსტ საქართველოს მტრებს, ისინი მხოლოდ სიცრუეს ავრცელებენ.

— საქართველოში აკრედიტებულო დიპლომატიურო მისიებო, ასე საეჭვოდ რატომ დუმხართ!..

**— თქვენი მხარდაჭერით გათავხედებულმა მცირე ოპოზიციურმა ჯგუფმა, შეაღონა საქართველოს მოსახლეობა გაუთავებელი მიტინგებით, ღრიანცელით, უხამსობით, პიკეტებით.**

— სტრატეგიულო პარტნიორებო, ასე უტიფრად ნუ იქცევით!

**— დაფიქრდით! დაფიქრდით! დაფიქრდით!**



**ომარ მარგველაშვილი,**
**საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.**



## დასავლელ სენატორთან ერთად ზელენსკიც მიიჩნევს, რომ ფული ყველაზე დიდი ინტერესია!

**— ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ლინდსი გრემი უკრაინაში არსებულ ბუნებრივ წიაღისეულზე „დარდობს". რამდენიმე თვის წინ გრემმა განაცხადა: „უკრაინაში 10-დან 12 ტრილიონ დოლარამდე ღირებულების მნიშვნელოვანი მინერალია. უკრაინა შესაძლოა, იყოს ყველაზე მდიდარი ქვეყანა ევროპაში. არ მინდა, ეს ფული და ეს ქონება პუტინს მივცე.**

უკრაინაში არსებული 10-12 ტრილიონი დოლარის ღირებულების საბადოები ზელენსკიმ დასავლეთს იარაღის ასანაზღაურებლად შესთავაზა. როგორც ჩანს, ზელენსკიც მიიჩნევს, რომ ფული ყველაზე დიდი ინტერესია, მაღალი იდეალები კი საზარბაზნე ხორცის გასაბითურებლადაა...




## „ქართულმა ოცნებამ" შეუძლებელი შეძლო!

**„ქართულმა ოცნებამ"** შეუძლებელი შეძლო, მათ შორის ევროინტეგრაციის კუთხით არსებობს ხელშესახები შედეგები — უვიზო მიმოსვლა, კანდიდატის სტატუსი, ასოცირების შეთანხმება", — ამის შესახებ საზოგადოება „ქართულის" ხელმძღვანელმა გიორგი გაბუნიამ „იმედის" ეთერში საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოში გაჩნდა თაობა, რომელსაც არ უნახავს, არ ახსოვს წინა ხელისუფლების პერიოდი, თუმცა არსებობს ისტორია.

— რაც შეეხება ოპოზიციის განცხადებებს, რომ არ შემოვლენ პარლამენტში, ბუნებრივია პარლამენტის მუშაობას ეს ხელს ვერანაირად ვერ შეუშლის. პარლამენტი ცნობს პარლამენტის 150 წევრის უფლებამოსილებას, რაც ნიშნავს იმას, სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველოს მრავალპარტიული პარლამენტი ეყოლება. თუ ისინი პარლამენტში არ შემოვლენ, ეს სამართლებრივად არანაირი შედეგის მომტანი არ იქნება. ასევე გვახსოვს, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები წინა მოწვევის პარლამენტში მაინცდამაინც მუშაობით თავს არ იკლავდნენ. ვერავინ მეტყვის საკითხს, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლები შინაარსობრივად, საგნობრივ განხილვაში მონაწილეობდნენ. ამ მიმართულებით ჩვენ განსაკუთრებული მოლოდინები არ გვაქვს...

## ყურადღება!

**დღეს პარლამენტში უსაფრთხოების ყვითელი დონე იმოქმედებს! ვიზიტორებს ეზღუდებათ პარლამენტის სასახლეში შესვლა.**

შენობაში დაიშვებიან ტელემაუწყებლების (ტელემედია) საშუალებების აკრედიტებული არაუმეტეს ორი ჯგუფი თითო მაუწყებლიდან, საპარლამენტო ღონისძიებების დასრულებამდე.



# ცრემლიან-სევდიანი მონოლოგი მშობლიური განათლების სისტემაზე

ახალგაზრდობის თითქმის ერთკვირიანი საპროტესტო პოლიტიკური გამოსვლები თბილისის ქუჩებში მოულოდნელად დამთავრდა. ყურადღება მიაქციეთ ერთ საგულისხმო და ფრიად დამაფიქრებელ ფაქტს: ხელისუფლებას მოპროტესტეების არავითარი მოთხოვნები არ დაუკმაყოფილებია, არც რაიმე კომპრომისული შეთანხმება დადებულა – ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლები დამთავრდა ხელისუფლების რადიკალური ოპოზიციის ყოვლად ოდიოზური „ლიდერების“ მოკრძალებული მოწოდებით.

ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდები (სტუდენტები) ერთი კვირით ადრე ქუჩაში გამოვიდნენ არა საკუთარი ინიციატივით და თავიანთი ინტერესების დასაცავად, არამედ სწორედ ოდიოზური ოპოზიციური ფსევდოლიდერების მოწოდებით და მათივე ინტერესების დასაცავად.

არ მინდა, „მოპროტესტე“ ახალგაზრდობას შეურაცხყოფა მივაყენო – მჯერა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა დავიჯერო, რომ ისინი ქუჩაში გამოვიდნენ და კარვებშიც შეკოტრიალდნენ საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე და საკუთარი ინიციატივით. ანუ მათ არ ჰქონიათ არავითარი მერკანტილური მოტივაცია. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, გავრცელებული ხმები რადიკალური ოპოზიციის მიერ ამ ახალგაზრდების მოსყიდვის თაობაზე არის სიცრუე!

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ 21-ე საუკუნის ქართველი ახალგაზრდების ერთი ნაწილი იზიარებს უახლოეს წარსულში მათივე თანატოლების სადისტური წამებისა და ცინიკური მკვლელობების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორის, ქართველი ხალხის ენით უთქმელი სიტყვებით შეურაცხმყოფელის, თავისი უპრინციპობით სახელგანთქმული ნიკა გვარამიას მოწოდებებს! იზიარებს ნარკოტიკების მოყვანისა და საჯაროდ მოხმარებისთვის, მშობლიური ქვეყნის არმიაში სამსახურზე უარის თქმისთვის მებრძოლი გირჩი-ჯაფარიძის თეორიებს! იზიარებს მოსაზრებებს გიორგი ვაშაძისა, ვინც, საერთოდ, არ იცის, რას ნიშნავს მართალი სიტყვა! ენდობა იმ ადამიანს, ვინც ჯერ კიდევ გუშინ დაუნდობლად გაძარცვა თითქმის მთელი საქართველო – მამუკა ხაზარაძეს! გვერდში უდგება „პოლიტიკოსს“, ვინც გასამართლებული იყო დიდი ოდენობის სახელმწიფო სახსრების მითვისებისთვის – გიგი უგულავას! ენდობა ქალს, ვისი ერთადერთი „დამსახურება“ ერისა და სამშობლოს წინაშე ქვეყნის მოღალატე, მკვლელი და მძარცველი სააკაშვილისადმი დაუოკებელი სიყვარულია - სოფო ჯაფარიძეს!...

თუ ეს მართლაც ასეა, ქართველი ახალგაზრდების ერთი ნაწილი გვერდში უდგება თვითმარქვია პოლიტიკოსების იმ ჯგუფს, ვისაც ქვეყნის სასიკეთოდ არაფერი გაუკეთებია და ხელისუფლების სათავეში აღსაზევებლად მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის იბრძვის. მეტიც – ამ მიზნის მისაღწევად სამშობლოს მსოფლიო ომში ჩასათრევად, ანუ მისი უფსკრულში გადაჩეხვისთვისაც მზადაა.

✦ ✦ ✦

**სანამ** მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, მოდი, გავიხსენოთ, რომ ხელისუფლების ქმედებით უკმაყოფილო ახალგაზრდები ცდილობზენ, გადაკეტონ დედაქალაქის ცენტრალური ქუჩები და, საბოლოოდ, ალყაში აქცევენ... თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს. რბილად რომ ვთქვა, ძალიან გაუგებარი ქმედებაა, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი და ყველაზე დამაფიქრებელი ის გახლავთ, რომ ვერცერთმა მოპროტესტე ახალგაზრდამ, ვერცერთმა, ვერ შეძლო რაიმე მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი პასუხის გაცემა უმარტივეს კითხვაზე – რას აპროტესტებთ?! ანუ ვერ შეძლო აეხსნა, კონკრეტულად რაში გამოიხატა ხელისუფლების მიერ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბება.

არცერთმა მოპროტესტე ახალგაზრდამ ყურადღება არ მიაქცია ამაზრზენ სიცრუეს იმ ადამიანებისა, ვისი მოწოდებითაც ქუჩაში გამოვიდა – საჯარო ქუჩურ ხელმოწერებს პარლამენტის წევრობაზე უარის თქმის შესახებ.

ვინ – ვინ, მაგრამ ხელისუფლების ქმედებით უკმაყოფილო ახალგაზრდამ ხომ უნდა იცოდეს, რომ რაიმე ორგანიზაციის წევრობიდან (ამ შემთხვევაში – პარლამენტიდან) რომ გახვიდე, ამ ორგანიზაციის წევრი უნდა იყო. პარლამენტის წევრი კი ხარ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ სტატუსს კონსტიტუციურად მოგანიჭებს შესაბამისი ორგანო, ანუ პარლამენტი! ხოლო ვიდრე პარლამენტს ოფიციალურად, კანონის შესაბამისად მუშაობა არ დაუწყია, იქ შესვლა- გამოსვლაზე საუბარი, უბრალოდ, ანეკდოტურია!

თავისი ბნელი მიზნებისთვის ახალგაზრდობის ქუჩაში გამომტყუებელი ვიგინდარების ბანდა ქუჩაში დემონსტრაციულად წერს განცხადებას ჯერაც არარსებული პარლამენტიდან გასვლაზე და ჩვენი განათლებული ახალგაზრდობა ამას უკრიტიკოდ „ჭამს“.

კიდევ ერთი სამწუხარო მაგალითი – მოპროტესტე ახალგაზრდობამ გულგრილად „გაატარა“ რადიკალური ოპოზიციის, აი, ეს ხუთპუნქტიანი მიმართვა „ევროპელი მეგობრებისადმი“:

ევროკავშირმა გამოიძიოს საქართველოში ჩატარებული არჩევნების გაყალბების ფაქტი;

არჩევნების სამართლიანად ჩატარების აღიარებამდე, ევროკავშირმა საქართველოს აუკრძალოს პარლამენტის ლეგიტიმურობა;

ევროკავშირმა გააკეთოს მკაფიო განცხადება, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია საქართველოში საპარლამენტო არჩევნების გაყალბების გამო;

შეჩერდეს ევროკავშირის დონეზე არსებული ყველა ოფიციალური ურთიერთობა საქართველოს მთავრობასთან;

საერთაშორისო გამოძიების დამთავრებამდე ევროკავშირმა შეაჩეროს საქართველოს მთავრობისადმი დახმარება, დაახლოებით 120 მილ. ევრო წელიწადში. ეს თანხა გადაუნაწილდეს საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებს და დამოუკიდებელ მედიას.

საგულისხმოა, რომ „მიმართვა“ ამ სიტყვებით მთავრდება: „ჩვენ გვჯერა, რომ ევროკავშირის შესაძლო დაუყოვნებელი რეაქცია – არჩევნების საერთაშორისო შეფასების მკაფიო მოწოდება და ევროკავშირთან დაკავშირებული ყოველგვარი მთავრობათაშორისი ურთიერთქმედების შეჩერება – კარგი გზა იქნება საქართველოს დემოკრატიული მომავლის მხარდასაჭერად“.

თუ მეტი არაფერი, უცნაურია, რომ სამშობლოზე მოფიქრალმა ახალგაზრდობამ ამ „მიმართვაში“ მისი შემოქმედი კლანის ვერც უვიცობა, ვერც ზერელობა და ვერც მშობელი ხალხისადმი მტრული დამოკიდებულება ვერ დაინახა...

ახალგაზრდობის ამ ნაწილმა ვერ დაინახა საშიში კავშირი ამ „მიმართვასა“ და

**დღევანდელი სტატისტიკიდან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრები 18-25 წლის ახალგაზრდების თითქმის 95 პროცენტი უნივერსიტეტის სტუდენტი ან კურსდამთავრებულია! ეს ნიშნავს, რომ იმ ახალგაზრდების უდიდესი უმრავლესობა, ევროპულ დროშებს რომ აფრიალებენ და ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის შეცვლას კატეგორიულად მოითხოვენ, არიან სტუდენტები ან უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები.**



უვიცობის კიდევ ერთ დემონსტრაციაზე, ალბათ, ლაპარაკიც არ ღირს – ქუჩის პროტესტის დამთავრების შემდეგ ჯავახიშვილის უნივერსიტეტში შეჭრა და იქ გამაგრება უნივერსიტეტის რექტორის გადადგომის მოთხოვნით!

ჯერ კიდევ აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის გადაწყვეტილებას შორის უკრაინისთვის რუსეთის წინააღმდეგ ამერიკული შორსმსროლელი რაკეტების გამოყენების თაობაზე ანუ ახალგაზრდებმა ვერ დაინახეს (მათმა წამქეზებლებმა არ დაინახეს!) კატობრიობის, მათ შორის – საქართველოს – ახალ მსოფლიო ომში ჩათრევის მომაკვდინებელი საფრთხე.

ძნელი სარწმუნოა, რომ საქართველოში არ არსებობს ავტორიტეტული ინტელექტუალური ძალა, ვინც ახალგაზრდობასთან საქართველოში განვითარებულ მოვლენებსა და მსოფლიო პოლიტიკის უშუალო კავშირზე ისაუბრებდა.

უვიცობის კიდევ ერთ დემონსტრაციაზე, ალბათ, ლაპარაკიც არ ღირს – ქუჩის პროტესტის დამთავრების შემდეგ ჯავახიშვილის უნივერსიტეტში შეჭრა და იქ „გამაგრება“ უნივერსიტეტის რექტორის გადადგომის მოთხოვნით!

## ახლა მივადექით მთავარ სათქმელს:

**დღევანდელ საქართველოში მოქმედებს 64 კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი უნივერსიტეტად მოიხსენიება. კიდევ ერთხელ გავიმეორებ – 3,5-მილიონიან საქართველოში მოქმედებს 64 უნივერსიტეტი, სადაც ერთდროულად სწავლობს 200 000-მდე სტუდენტი! ზერელობაში რომ არ ჩამეთვალოს, დავაზუსტებ – ყველა ამ უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსით სწავლობს 187 798 ახალგაზრდა.**

გავბედავ და შეგახსენებთ, რომ 1990 წლის მონაცემებით, ხუთმილიონიან საქართველოში მოქმედებდა 11 უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო სტუდენტთა რაოდენობა დღევანდელთან შედარებით დაახლოებით ათჯერ ნაკლები იყო.

დღევანდელი სტატისტიკიდან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრები 18-25 წლის ახალგაზრდების თითქმის 95 პროცენტი უნივერსიტეტის სტუდენტი ან კურსდამთავრებულია!

ეს ნიშნავს, რომ იმ ახალგაზრდების უდიდესი უმრავლესობა, ევროპულ დროშებს რომ აფრიალებენ და ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის შეცვლას კატეგორიულად მოითხოვენ, არიან სტუდენტები ან უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები.

**ამავე დროს, ამ ახალგაზრდების მსჯელობიდან გამომდინარე, მათი ცოდნის დონე, ანალიტიკური მსჯელობის უნარები, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ანუ სწავლების დონე დღევანდელი ქართული უნივერსიტეტების უდიდეს უმრავლესობაში კომუნისტური ეპოქის პროფტექნიკური სასწავლებლებისაზე ბევრად დაბალია.**

ბუნებრივია, ადრე თუ გვიან პოლიტიკური ვითარება დალაგდება და დღის წესრიგში ამ ახალგაზრდების ინტელექტუალური უნარ-ჩვევების გამოვლენის აუცილებლობაც დადგება.

ვითარება კიდევ უფრო ტრაგიკულად მოგვეჩვენება, თუ გავაცნობიერებთ, რომ თანამედროვე მეცნიერების, ტექნოლოგიების უცოდინრად საქართველოს მომავალი, უბრალოდ, განწირულია. ქვეყნის მომავალზე მოფიქრალი ხელისუფლება ამას უნდა ხედავდეს და, იმედია, ასეცაა.

თვალის დახუჭვა არც იმ ფაქტზე ღირს, რომ საქართველოში რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან თანამდებობაზე მიღებისას, კანდიდატისგან აუცილებლად ითხოვენ საზღვარგარეთული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

**ქვეყნის მასშტაბით განათლების სისტემის გლობალური რეორგანიზაციის საკითხებზე მსჯელობას ვერ გავბედავ, მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ერთი რამ შემიძლია დარწმუნებით ვთქვა – თუ დღეს ამაზე ფიქრს არ დავიწყებთ, ხვალ უკვე ძალიან გვიან იქნება. გუშინდელმა დღემ ამ ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა.**



**თეიმურაზ ქორიძე**



# ვინ გახდება საქართველოს მეექვსე პრეზიდენტი?!

მეოთხე გვერდიდან

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში საქართველოს მოსახლეობამ ორი პრეზიდენტი აირჩია და ორივე „ქართული ოცნების“ მიერვე იყო მხარდაჭერილი. მაგრამ არჩევიდან მალევე ორივე პრეზიდენტი მმართველი გუნდის ოპოზიციაში გადავიდა. ამ მხრივ გიორგი მარგველაშვილს დიდად გაასწრო სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც სათავეში უდგას სახელმწიფო გადატრიალებას. ზურაბიშვილს ორბელიანიების სასახლის დატოვება დეკემბერში მოუწევს. საქართველოს პრეზიდენტი – ეს არის თანამდებობა, რომელსაც დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი და ლობირებული კადრი იკავებდა. ამჯერად როგორ კანდიდატზე შეჩერდება „ქართული ოცნება“ და გაუწევს თუ არა დასავლეთის ანგარიშს, ამას უკვე დეკემბერში ვნახავთ.

უმრავლესობის წევრის მამუკა მდინარაძის განცხადებით, შეეცდებიან, რომ სერიოზული ხარვეზი აღმოფხვრან და პრეზიდენტობის ისეთი კანდიდატი დაასახელონ, რომელიც თავიდანვე გამორიცხავს ვარაუდს, რომ მანაც არ გაამართლოს. როგორც მდინარაძემ აღნიშნა, გუნდის შიგნით უკვე ბევრი კანდიდატის შესახებ იმსჯელეს.





**„ჩვენ უკვე მართლა ბევრი კანდიდატის შესახებ გვიმსჯელია გუნდის შიგნით. შეიძლება უფრო ადრე გავახმოვანოთ საბოლოო გადაწყვეტილება საპრეზიდენტო კანდიდატურასთან დაკავშირებით, ვიდრე ეს თქვენ წარმოგიდგენიათ. შევეცდებით, რომ თარიღის გამოცხადებასთან ძალიან ახლო და შემჭიდროებულ ვადებში ვისაუბროთ ჩვენს კანდიდატზეც“,** – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, პრეზიდენტის კანდიდატურასთან დაკავშირებით ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა ის იქნება „ქართველი პატრიოტი“. მისივე თქმით, პრეზიდენტის არჩევნები და ინაუგურაციაც საკანონმდებლო ორგანოში გაიმართება.

**„ერთი რამის თქმა შემიძლია, ეს იქნება ქართველი პატრიოტი. ეს არის, როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მთავარი კრიტერიუმი. პატრიოტიზმი არ არის მხოლოდ გულში მჯიღის ცემა, ეს არის საკუთარი სამშობლოს და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გააზრება, რომელიც აღმოვაჩინეთ, რომ წინა პრეზიდენტებს არ ჰქონდათ, განსაკუთრებით მოქმედს, რომელიც ვერ შედგა ქართველად. ეს არის მთავარი პრობლემა, რასაც ჩვენ წავაწყდით. რაც შეეხება კანდიდატურას – ჯერ ჩვენ დავასახელებთ არჩევნების თარიღს და ყველაფერი პროცედურის მიხედვით იქნება. ქართველ ხალხს ეყოლება ღირსეული პრეზიდენტი. გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ გვაქვს,“** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.





ვინ იქნება ის ღირსეული, რომელიც ზურაბიშვილს შეცვლის, ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს**, მაგარამ ამბობს, რომ კრიტერიუმი უნდა იყოს სტაბილურობის ნიშანი – რამდენად სტაბილურია პოლიტიკური თვალსაზრისით და რამდენად მოსალოდნელია, რომ სტაბილური იქნება იმ პოლიტიკურ გარემოცვაში, რასაც ქმნის „ქართული ოცნება“ და არ მოუწევს პოლიტიკური თამაშები ოცნებასთან, რასაც ვაკვირდებოდით სხვა შემთხვევაში.

**„მე მგონია, რომ უკვე ჩამოთვლილი ყველა ფიგურა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ერთი მეორეზე უფრო მეტად. გია ვოლსკიც და ირაკლი ღარიბაშვილიც ისეთი სიხშირით ჩანან ოცნების გვერდით, ღარიბაშვილი სხვადასხვა რგოლში და მუდმივად მყარად ოცნების მხარეს, რომ ეჭვს არც ერთი არ იწვევს ამ მხრივ. კახი კახიშვილს ასეთი სიხშირე არ ჰქონია გამოსვლებში, მაგრამ სრულიად გაწონასწორებული, წყნარი ფიგურა არის, რომლისგანაც სიურპრიზებს არ უნდა ელოდო. ყველა ერთმანეთს ჯობია. თუმცა სოციალურ ქსელში გამოჩნდა თეა წულუკიანის სახელიც“,** – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

პოლიტოლოგის განცხადებით, საპარლამენტო მმართველობაში, პრეზიდენტს, რომელსაც ძალა არ აქვს და მარტო საკვანძო მომენტებში უნდა გამოჩნდეს, ამ ტიპის პრეზიდენტად ხშირად ნიშნავენ იმ ადამიანს, ვინც უკვე პასიურ რეჟიმშია.

**„მასე დაინიშნა თავის დროზე პრეზიდენტად პერესი, რომელიც ძალიან აქტიური საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო და ადრე ფინანსთა მინისტრი. ასევე არის გერმანიაში პრეზიდენტად ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი. თუ ასეთი მიდგომით ვიხელმძღვანელებთ და არის ლოგიკა ამაში, რომ ენერგიულს და სიცოცხლით სავსე ადამიანს რომ დანიშნავ მაგ თანამდებობაზე, თავისი პოზიციების განმტკიცებისთვის მოუწევს რაღაცა მანევრირება. ამიტომ სასურველია, რომ იყოს ადამიანი, რომელსაც ამოცანად აღარ უდგას თავისი თავის გაძლიერება და უკვე ნანახი ჰყავს საკუთარი თავი სხვადასხვა სტრუქტურაში. ამიტომ უფრო ასაკიანი, წონიანი, გამოცდილებიანი, თავისი პოლიტიკური როლით კმაყოფილი ადამიანის არჩევა იქნება უპრიანი და არა იმათი, ვისაც მიუხედავად ძალიან კარგი თვისებებისა, შეიძლება უფრო ზედმეტი სურვილები და ამბიციები ჰქონდეთ, ვიდრე ამ თანამდებობას შეეფერება“,** – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძემ.

ანალიტიკოსის **დავით ზარდიაშვილის** განცხადებით, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში არჩეული ორივე პრეზიდენტი უღირსი გამოდგა. შესაბამისად, თვლის, რომ მომავალი პრეზიდენტი უნდა იყოს ავტორიტეტი ადამიანი და მას ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს არა მარტო „ქართულ ოცნებაში“, არამედ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობით სახელოვანი ადამიანი უნდა იყოს.

**„აუცილებელი არ არის, რომ პოლიტიკური მოღვაწეობით ჰქონდეს სახელი მოხვეჭილი. შეიძლება სხვა სფეროს ადამიანი იყოს. მომავალი პრეზიდენტი უნდა იყოს წარმოსადეგი, იმიტომ, რომ მისი ძირითადი ფუნქცია არის წარმომადგენლობითი. ის არის ცერემონიალური ფიგურა. ძირითადად, მისი მთავარი დანიშნულება ეს არის და რატომ არის ეს ცერემონია საჭირო? იმის ხაზგასასმელად, რომ ყველაფერი ხდება ისე, როგორც უნდა მოხდეს, რაც დაკავშირებულია პოლიტიკის და მმართველობის განხორციელებასთან.**

**ამავდროულად, პრეზიდენტი არის კონსტიტუციის გარანტი და თუ რამე პრობლემა იქმნება კონსტიტუციასთან, ის რასაკვირველია, ცერემონიას არ შეასრულებს და რასაკვირველია, ეს არის ნიშანი იმისა, რომ შეიქმნა რაღაცა პრობლემა და შესაბამისი გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული“,** – აცხადებს ზარდიაშვილი.

რაც შეეხება კანდიდატებს, დავით ზარდიაშვილი ამბობს, რომ ამ ეტაპზე, ძალიან გაუჭირდება კონკრეტულ კანდიდატებზე მსჯელობა, თუმცა ისურვებდა, რომ მომავალი პრეზიდენტი პარტიული ნიშნით არ იქნეს შერჩეული.

**„ზეპარტიული ფიგურა უნდა იყოს, ნაკლებად პარტიული ინტერესით. ნაწილობრივ ამბიციურიც უნდა იყოს, იმიტომ, რომ, თუ ადამიანი ამბიციური არ არის, სახელოვანი ვერ გახდება, შეუძლებელია. უსაფუძვლოდ ამბიციური არის სალომე, რომელმაც რა ვითარებამდე მიგვიყვანა, ვნახეთ და ეს მისი ტრაგედიაა. საქართველოს ის ვერაფერს ვერ დაუშავებს, მისი უსაქციელობის გამო არაფერი არ მოხდება. მართალია, გარკვეული პრობლემები შექმნა, მაგრამ დიდი არაფერი. იმდენად დაიზიანა თავი, რომ მის წინაპრებს მიაყენა რეპუტაციული ზიანი“,** – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას დავით ზარდიაშვილი.

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ.**

# კაცი, რომელიც ლეგენდარულ აბელზე გაცვალეს,

## ანუ ცივი ომის საიდუმლოებები





ცივი ომის ხანაში, ანუ მეორე მსოფლიო ომის მომდევნო წლებში, ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ხშირად ჰქონდა ადგილი ისეთ ინციდენტებს, რომელიც ორ ბირთვულ ზესახელწიფოს შორის, უკიდურესად ძაბავდა ხოლმე ურთიერთობას.

ერთი ასეთი შემთხვევა 1960 წლის პირველ მაისს მოხდა: თავდაცვის საბჭოთა ძალებმა ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავი U-2 ჩამოაგდეს. მაშინ, სადაზვერვო კოსმოსური თანამგზავრები არ არსებობდა. ამიტომ, ამერიკის ადმინისტრაციამ საბჭოთა მთავრობას ეგრეთწოდებული ღია ცის კონცეფცია შესთავაზა, რომლის მიხედვით, მხარეებს უფლება ეძლეოდათ, საჰაერო სივრციდან გაეკონტროლებინათ ერთმანეთის შეიარაღება, რაზეც საბჭოთა მხარემ სასტიკი უარი განაცხადა. შედეგად, ამერიკამ თავისი სადაზვერვო პროგრამა აამოქმედა, რომელიც სადაზვერვო თვითმფრინავებით საბჭოთა ტერიტორიაზე ფარულად შეღწევასა და ინფორმაციის შეგროვებას გულისხმობდა.

მისიის შესასრულებლად ამერიკამ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი, სრულიად გასაიდუმლოებული სადაზვერვო თვითმფრინავი, **Lockheed-U-2** გამოიყენა, რომელსაც, უჩვეულო ფორმის გამო, **Dragon Lady**, დრაკონის „ლედი“ შეარქვეს. U-2-ს 21-ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე შეუძლია ფრენა, რაც დღესაც კი ფრენის სიმაღლის რეკორდია. თვითმფრინავი, რომელშიც უძლიერესი სადაზვერვო ფოტო და ვიდეოაპარატურაა დამონტაჟებული, დღემდე ამერიკის სამხედრო ძალების სამსახურშია. მან 1955 წელს პირველი ფრენა განახორციელა. ფრენის სიმაღლისა და თვითმფრინავის ფორმის გამო, ის მოწინააღმდეგისთვის შეუმჩნეველი იყო, და რომც შეემჩნიათ, მაინც ვერ გაანადგურებდნენ, რადგან მაშინ არ არსებობდა ამ სიმაღლეზე მოქმედი გამანადგურებელი რაკეტები.



U-2-ს 21 ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე შეუძლია ფრენა, რაც დღესაც კი ფრენის სიმაღლის რეკორდია.

U-2-მა პირველი ფრენა 1956 წლის 4 ივლისს განახორციელა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ფარულად გადაუფრინა რა ბალტიისპირეთს, მოსკოვსა და ლენინგრადს. ფრენიდან მიღებული საიდუმლო ინფორმაციით აღფრთოვანებულმა ამერიკულმა დაზვერვამ გადაწყვიტა, უფრო ღრმად შეჭრილიყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

1957წელს, U-2-მა რამდენჯერმე გადაუფრინა ციმბირს, ურალსა და ყაზახეთს. ამერიკის დაზვერვას, ყველაზე მეტად, ყაზახეთში მდებარე ბირთვული იარაღის საცდელი ბაზა „სემიპალატინსკი“ აინტერესებდა. იმ ცნობილ ინციდენტამდე, ამერიკის დაზვერვამ 20-ზე მეტი ფრენა განახორციელა საბჭოთა საჰაერო სივრცეში.

1959-60 წლებში, საბჭოთა სამხედრო ძალებმა ძლიერი რადარები და საჰაერო დაცვის სარაკეტო სისტემა „დვინა“ მიიღო, რამაც შესაძლებელი გახადა U-2-ის აღმოჩენა. ამერიკის დაზვერვას ეს ინფორმაცია არ ჰქონდა და მორიგი საიდუმლო გადაფრენა 1960 წლის პირველ მაისს დანიშნა. იფიქრეს, დიდ საბჭოთა დღესასწაულზე, უსაფრთხოების პირობები ნაკლებად იქნებოდა დაცული. მისიის შესრულება გამოცდილ მფრინავს ფრენსის გერი პაუერსს დაევალა, რომელიც პაკისტანის ქალაქ ფეშავართან ახლოს მდებარე სამხედრო ბაზიდან უნდა აფრენილიყო, სამხრეთიდან შეეღწია საბჭოთა სივრცეში, ყაზახეთსა და ურალზე გადაეფრინა და ნორვეგიაში დამჯდარიყო.

მართლაც, U-2 დილის ხუთ საათზე აფრინდა, მაგრამ გადაკვეთა თუ არა საბჭოთა საზღვარი, პაუერსის დრამატული თავგადასავალიც დაიწყო. **ახალმა საბჭოთა რადარებმა წამსვე აღმოაჩინეს საზღვრის დამრღვევი, მაგრამ რადგან ცენტრალური აზიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე არ იყო განლაგებული ახალი სარაკეტო სისტემები, რუსულმა გენერალიტეტმა U-2-ის ურალთან ჩამოგდება გადაწყვიტა.** ზუსტად 8 საათსა და 53 წუთზე მოსკოვის დროით, ქალაქ ჩელიაბინსკის მახლობლად, საბჭოთა სარაკეტო ძალებმა U-2 ჩამოაგდეს, რასაც გაუთვალისწინებელი უბედური შემთხვევა მოჰყვა: მეორე რაკეტამ საბჭოთა სადაზვერვო თვითმფრინავი ჩამოაგდო, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვებოდა ამერიკულ სადაზვერვო თვითმფრინავს. U-2 სოფელ პოვარნიასთან ჩამოვარდა. პაუერსმა კატაპულტირება მოასწრო და მინდორზე დაეშვა. სოფლის მოსახლეობამ პაუერსი მომენტალურად დააკავა. თავიდან ის კოსმონავტი ეგონათ, თუმცა, გაირკვა, რომ მან რუსული არ იცოდა, და მის ნივთებს შორის, იარაღი, დიდძალი ფული, ოქროს მონეტები, რამდენიმე წყვილი საათი და აბრეშუმის შარფი აღმოჩნდა, რომელზეც რუსულ და ინგლისურ ენებზე ეწერა, რომ ის ამერიკის მოქალაქე იყო, და დახმარებისთვის ჯილდოს გასაცემად იყო მზად. მოგვიანებით, დაკავებული მფრინავი სამართალდამცველებმა წაიყვანეს.

დასაწყისში, ინციდენტის შესახებ საბჭოთა კავშირიც და ამერიკაც დუმდა. მხოლოდ 3 მაისს განაცხადა ამერიკის მასმედიამ, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ამერიკის მეტეო-თვითმფრინავი გაუჩინარდა. ამით ამერიკის მთავრობა ალიბის შექმნას ცდილობდა, თითქოს, მეტეოთვითმფრინავს კურსი შეეშალა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოხვდა. საბჭოთა კავშირი კი, იმიტომ დუმდა, რომ პაუერსისგან მეტი ინფორმაციის მიღება სურდა. „კაგებეს“ ციხეში ამერიკელ პატიმარს მრავალსაათიან დაკითხვებს უწყობდნენ. 7-მაისს საბჭოთა პრესამ ინფორმაცია გაავრცელა, რომ ამერიკელმა მფრინავმა ჯაშუშმა მისიის ნამდვილი მიზანი გაამჟღავნა. საბჭოთა ხელმძღვანელობას, ნიკიტა ხრუშჩოვის მეთაურობით, სურდა, მთელი მსოფლიოსთვის გაემხილა ამერიკის მზაკვრული გეგმა. ამიტომ, პაუერსის საჯაროდ გასამართლება გადაწყდა. სასამართლო 1960 წლის 17-19 აგვისტოს გაიმართა მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ, კავშირების სახლის შენობაში. სასამართლო ყველასთვის ღია იყო. პროცესი ტელევიზიით გადაიცემოდა. ბრალდებული პაუერსი, ცდილობდა რა გამოძიებასთან თანამშრომლობას, ყველაფერი აღიარა. სასამართლო ვერდიქტი ასეთი იყო: პაუერსს 10 წლით პატიმრობა მიესაჯა, აქედან, 3 წელი მკაცრი რეჟიმის ციხეში. მოგვიანებით, სხვა საპატიმროში გადაიყვანეს, რომელიც ვლადიმირსკი ცენტრალის სახელითაა ცნობილი.

ორი წლის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის დიდი ხნის მოლაპარკების შედეგად, გადაწყდა პაუერსის გაცვლა ცნობილ საბჭოთა ჯაშუშ რუდოლფ აბელზე, რომელმაც ამერიკის ბირთვული იარაღის სქემა მოიპოვა. მათი გაცვლა 1962 წლის 10 თებერვალს ქალაქ პოტსდამთან გლინიკეს ხიდზე მოხდა.

U-2-ის ინციდენტმა საბჭოთა ხელისუფლებაში ამერიკის მიმართ მეტი უნდობლობა და მტრული განწყობის გაღრმავება გამოიწვია. **მანამდე, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი და ნიკიტა ხრუშჩოვი, ორ ქვეყანას შორის, თითქოს, ურთიერთობების გაუმჯობესებას ცდილობდნენ. ორი-კვირის შემდეგ პარიზში მათი შეხვედრა უნდა შემდგარიყო, რომლისგანაც მსოფლიო პოზიტიურ გარღვევას ელოდა, მაგრამ საპირისპირო მოხდა. გაბრაზებული ხრუშჩოვი ამერიკელებს აღარაფერს უთმობდა.**




პაუერსის გაცვლა რუდოლფ აბელზე 1962 წლის 10 თებერვალს ქალაქ პოტსდამთან გლინიკეს ხიდზე მოხდა.

სამიტი სამდღიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ინციდენტის გამო, მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა. შეხვედრა, ფაქტობრივად, ჩაიშალა და ცივი ომის პერიოდის დაძაბულობა კიდევ უფრო გამწვავდა. ორი წლის შემდეგ, 1962 წელს, კარიბის კრიზისი მოხდა და მსოფლიო კატასტროფას ძლივს გადაურჩა. ამერიკაში დაბრუნებული ფრენსის გერი პაუერსი სამშობლომ ცივად მიიღო. კონგრესის საგამოძიებო კომისიამ პაუერსი ყველა ბრალდებისგან კი გაათავისუფლა, მაგრამ დაზვერვამ ის თავისი რიგებიდან სამუდამოდ გარიცხა. მას ბრძანების შეუსრულებლობა არ აპატიეს. პაუერსს, სიცოცხლის ფასადაც კი, თვითმფრინავი უნდა გაენადგურებინა, რომ მისი საიდუმლო აპარატურა საბჭოთა ხელისუფლების ხელში არ ჩავარდნილიყო. გათავისუფლების შემდეგ პაუერსი ერთ-ერთი დიდი ტელევიზიის ვერტმფრენის პილოტად მოეწყო საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით. 1977 წელს კალიფორნიაში დიდი ხანძრის გადაღების დროს პაუერსი ავიაკატასტროფაში დაიღუპა.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

## კანადამ პირობა დადო, რომ დააკავებს ნეთანიაჰუსა და გალანტს

**ოტავა შეასრულებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) გადაწყვეტილებას, რომელმაც ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს და თავდაცვის ყოფილ მინისტრ იოავ გალანტს დაპატიმრების ორდერი გასცა, თუ ისინი კანადაში ჩავლენ, – განაცხადა კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ.**

მან ხაზი გაუსვა, რომ კანადა შეასრულებს საერთაშორისო სასამართლოების ყველა ბრძანებას და გადაწყვეტილებას.

შეგახსენებთ, რომ 21 ნოემბერს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს და ყოფილი თავდაცვის მინისტრის იოავ გალანტის დაკავების ორდერი გასცა ღაზას სექტორში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ოფიციალურ დოკუმენტში ნათქვამია, რომ წინასასამართლო პალატამ მიიღო გადაწყვეტილება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე და ომის დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია არაუგვიანეს 2023 წლის 8 ოქტომბრიდან 2024 წლის 20 მაისამდე



## ესეც „დემოკრატიის შუქურა!“

**ალაბამას შტატში, აშშ-ის ისტორიაში მესამედ, ადამიანი აზოტის გამოყენებით სიკვდილით დასაჯეს.**

50 წლის კერი დეილ გრეისონი მკვლელობის ბრალდებით 1994 წელს გაასამართლეს.

მედიის ცნობით, გრეისონს სიკვდილით დასჯა „ავტო სტოპით“ მოგზაური ვიკი დებლიერის გატაცებისა და მკვლელობისთვის მიუსაჯეს.

დანაშაულის ჩადენის მომენტში,ის 19 წლის იყო, მისი სამი თანამზრახველი კი არასრულწლოვნები იყვნენ. სასამართლომ მათ უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

სიკვდილით დასჯამდე, გრეისონმა განაცხადა, რომ 30 წლის წინ ჩადენილ დანაშაულს ნანობდა და იმედი გამოთქვა, მის პატიებას შეძლებენ.

აშშ-ში სიკვდილით დასჯის ახალი მეთოდი შეშფოთებას იწვევს. ექსპერტები ფიქრობენ, რომ რომ სუფთა აზოტის გამოყენებით,სიკვდილით დასჯა ხანგრძლივი და მტანჯველი პროცესია.

# საუფლო ღვინო „ზედაშე“

**ზედაშე – საგანგებოდ დამზადებული ქართული ღვინო! იმდენად პოპულარულია, რომ მასზე მრავალი ლექსი და სიმღერაა შექმნილი.**

**ზედაშით სავსე ჭურის მოხდა ახლაც უმაღლესი პატივისცემის ნიშანია სტუმრისთვის, თუმცა ადრე ღვინის ამ სახეობას მხოლოდ რელიგიური, ზოგ შემთხვევაში საერო დღესასწაულებისათვის აგემოვნებდნენ.**

**ჩემი მეგობარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ ნადირაძე სამაგიდოდ ქცევის ღირს წიგნში – „ქართული მატერიალური კულტურის ლექსიკონი“ – ზედაშეს ასე განმარტავს: „შესაწირავი ღვინო ყურძნის მოსავლის საუკეთესო ნაწილიდან პირველი ნაწური, რომელიც დაყენებული იყო სალოცავის სახელზე“.**

ამავე აზრისაა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლიანა ჭყონია.

რა თქმა უნდა, ორივე სწავლულს ვეთანხმებით. ისიც წყალგაუვალია, რომ ზედაშეს დაყენების წესი პრეისტორიულია.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჩვენი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტების სტუმრობა (ტოპონიმურ მასალებს ვაგროვებდით) საჩხერის სოფელ ჭალის ღონის უბნის მცხოვრებ 85 წლის სადია სადღობელაშვილთან, რომლის ეზოდან თვალწარმტაცად ჩანს მთის წვერზე სამი მაღალი ნაძვის ხე, რომელთა გამოადგილს „ნაძვიგვერდი“ ჰქვია.

„ოდესღაც ამ მთის წვერზე თურმე, სალოცავი არსებობდა – გვიამბო სადიამ, სადაც ყოველ ზაფხულს იკრიბებოდა სოფლის მოსახლეობა „ნავერდობის“ სადღესასწაულოდ. მასპინძლები იყვნენ ჭიტაძეები. იქ მათ ჰქონდათ ზედაშით სავსე, ეგრეთწოდებული საღვთო ჭურები, რომლებიც იხდებოდა სადღესასწაულოდ და ღმერთს სთხოვდნენ კარგ მოსავალს.

**უხსოვარ დროში ერთმა სულწასულმა გლეხმა „ნავერდობამდე“ მოხადა, თურმე, ჭური. დაიხარა თუ არა ღვინის ამოსაღებად, სამმა ნაძვმა კეწეროთი ორშიმოიანად აიტაცა ცაში და მანამდე არ ჩამოუშვა, სანამ სოფელმა შენდობა არ ითხოვა.**

ჩემი აზრით, ზედაშის დასაყენებლად სწორია ყურძნის მოსავლის საუკეთესო ნაწილი კი არა, მტევნის საუკეთესო ნაწილი. ამ აზრს განამტკიცებს ბაბუაჩემ სანდრო ლაშხის წესი ხსენებული პროდუქტის დაყენებისა. მას სოფელ საირხეში ვეებერთელა ზვრები ჰქონდა. რთვლის დროს მაჩანოური საფერავის მწკრივში მდგომს გვერდით ორი კალათი ედგა. ცალი ხელი ყურძნის მტევნის ყუნწზე ეკიდა, მაკრატლიანი მეორე ხელი მტევანს შუაზე ჭრიდა ზედა ნაწილს ერთ კალათაში ყრიდა, ქვედას – მეორეში, „ყურძნის მტევნის საუკეთესო ნაწილი ზედა, ანუ მტევნის ყუნწიდან შუამდეა, ამ ნაწილში მეტი მზე და სიტკბოა, მისგან დაყენებული ღვინო ღმერთის კუთვნილებაა და უღმერთო კაცს არ დაელევნებაო“ – ამბობდა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ზედაშე: პირველი ნაწილი ზე ნიშნავს ჩვეულებრივზე მეტს შესაძლებლობით, ხარისხით, რაოდენობით;

შე – წინსართი ზმნისა, უჩვენებს მიმართულებას ქვემოდან ზევით ან აქედან იქით.



რაკი ასეა, შეიძლება დავასკვნათ, რომ მტევნის ზედა ნაწილი არის საუკეთესო მასალა, რისგანაც მიიღება საუფლო ღვინო „ზედაშე“.

**ცეზარ ლაშხი,**
**სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.**
**სოფელი სხვიტორი.**

# რომელ პროდუქტებთან, პრეპარატებთან და ვიტამინებთან არ შეიძლება ყავის მიღება?!



**ყავის, კოფეინის სასარგებლო და მავნე თვისებები – რომელ პროდუქტებთან არ შეიძლება ყავის მიღება; რომელი ვიტამინებისა და მინერალების შეწოვას ამცირებს ეს მატონიზირებელი სასმელი, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარს; თუ იღებთ ვიტამინებს ან სხვა რაიმე დანამატს – რამდენი ხნის შემდეგ შეგვიძლია მივირთვათ ყავა და რა დროის ინტერვალით; რამდენი ფინჯანი ყავა უნდა მივირთვათ ყოველდღიურად, რომ ორგანიზმის გამართულ ფუნქციონირებას არ შევუშალოთ ხელი – ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც კოფეინის მიღებას უკავშირდება, „რუსთავი 2-ის“ ეთერში ნუტრიციოლოგმა ნაია ლაფარიამ ისაუბრა.**

„კოფეინი არის ყავის შემადგენელი ნაწილი, ასევე ჩაის და სხვადასხვა ენერგეტიკული სასმელებისა, კოფეინი არის სტიმულატორი, რომელიც ნამდვილად ახდენს მინერალების შეწოვაზე ზეგავლენას. კონკრეტულად კი, ყველაზე მეტად რკინის და კალციუმის შეწოვაზე.

ერთმა ფინჯანმა ყავამ შეიძლება 60%-ით შეამციროს რკინის შეწოვა. ყავის ზომიერი მიღება, პირიქით, ძალიან სასარგებლოა და არანაირი ცუდი ზეგავლენა არა აქვს, უბრალოდ არის პროდუქტები, რომლებთანაც სასურველია შუალედი გავაკეთოთ. თუ არის რკინის დეფიციტი და ვიღებთ პრეპარატს, პრეპარატი ყავით არ უნდა მივიღოთ. თუ დანამატს ვიღებთ – სასურველია 1-2-საათიანი ინტერვალი გაკეთდეს ყავის მიღებამდე.

რაც შეეხება კალციუმს, კალციუმი ძვლის სიჯანსაღისთვის მნიშვნელოვანი მინერალია, რაც ასაკთან ერთად გვჭირდება და ზრდის პროცესშიც გვეხმარება. თუმცა, თუ ჩვენ მივიღებთ რძიან ყავას, ამით ნეიტრალდება კოფეინის ის ზეგავლენა, რაც კალციუმის შეწოვას უშლის ხელს, ამ შემთხვევაში ყავა, დაახლოებით 2-3 მგ კალციუმს გამოდევნის. მაგრამ მათთვის, ვისაც არ უყვართ რძიანი და უბრალოდ შავ ყავას მიირთმევენ, დღის განმავლობაში უნდა მიიღონ ხაჭო, რძის პროდუქტები და კალციუმის დანაკლისი ამით შეივსონ. ყავასთან ერთად მიღებული წყალი, კოფეინს არ ანეიტრალებს, ამ შემთხვევაში წყალი უფრო გემოვნური თვისებების მატარებელია,“ – ამბობს ნუტრიციოლოგი.

ყავა და დანამატები (ვიტამინები) – რა ინტერვალი უნდა დავიცვათ ამ ორის მიღების შემთხვევაში და აუცილებელია თუ არა ინტერვალის დაცვა; რის შეწოვას გააძლიერებს კოფეინი, რას ამოქმედებს და რას აძლევს სტიმულაციას ყავის მიღება.

„ყავა ძალიან კარგი არის C ვიტამინით მდიდარ პროდუქტებთან, როგორიც არის ციტრუსები, ბულგარული, წიწაკა, ბროკოლი. C ვიტამინი რკინის შეწოვას აძლიერებს, ამიტომ თუ C ვიტამინით მდიდარ პროდუქტებთან ერთად შევჭამთ რკინით მდიდარ პროდუქტებს, ყავა უკვე ვეღარ მოახერხებს, რომ შეწოვას ხელი შეუშალოს.

ვიტამინებსა და დანამატების მიღების დროს ყავის მიღებამდე ინტერვალი აუცილებლად უნდა გვქონდეს.

✦ ✦ ✦

**საქართველოში ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები ძალიან ხშირია, ჰორმონჩანაცვლებით თერაპიაზე ძალიან ბევრი პაციენტია. ყავის მიღება ამ პრეპარატის მიღებიდან მინიმუმ ერთი საათი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ასევე, ჩასახვის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღების შემთხვევაში ყავა პრეპარატების მოქმედებას ამცირებს.**

**ადამიანები, ვისაც აქვთ ასთმა – რა თქმა უნდა, მკურნალ ექიმს უნდა გაესაუბრონ, მაგრამ ზოგიერთი სამკურნალო მედიკამენტის დროს მცირე დოზითაც არ შეიძლება ყავის მიღება და ამ კუთხით ასეთი პაციენტები ფრთხილად უნდა იყვნენ!**

**თუ პაციენტი იღებს კონკრეტულად რომელიმე ცალკეულ ვიტამინს დეფიციტის შესავსებად, უმჯობესია, 1-2-საათიანი შუალედი დაიცვან, რომ პრეპარატისგან მიიღონ სასარგებლო თვისებები,“ – ამბობს ნუტრიციოლოგი ნაია ლაფარია.**



# ქართული სამშენებლო ხელოვნების უიშვიათესი ძეგლი

## დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში სამი ციხე- სახლის რეაბილიტაცია დასრულდა



**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დაასრულა სოფელ შატილის №35, №36 და №39 ციხე-სახლების სახურავების რეაბილიტაცია.**

სააგენტოს ინფორმაციით, ის შატილში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას ეტაპობრივად ატარებს. 2022 წელს განახლდა №11, №12, №13 და №14 ციხე-სახლების სახურავები და აღდგა ბანები. 2023 წელს ჩატარდა №4, №5, №23, №25 და №26 ციხე-სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოიხსნა №52 ციხე-სახლის ამორტიზებული აივანი. ასევე, განსაკუთრებით რთულ №20 ნაგებობას ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები და განახლდა №24 სახლის სახურავი.

მიმდინარე წელს დასრულდა N35, N36 და N39 ციხე-სახლების გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახურავები გაიწმინდა მცენარეული საფრისგან, სახურავებიდან გაიტანეს გრუნტი, მოიხსნა დაზიანებული თიხა-ტკეპნილი და რულონური გადახურვა, ახალი მასალის გამოყენებით ნაწილობრივ გადაეწყო ორსაფეხურიანი ფიქლის ქვის ლავგარდანი, გასუფთავდა რკინა-ბეტონის ფილები, მოილესა ბეტონის დაზიანებული ფილები და ჰიდროსაიზოლაციო ფენა გაკეთდა რულონური მასალით. გარდა ამისა, N35 ციხე-სახლზე მოიხსნა პირველი დონის გადახურვის დაზიანებული ხის კოჭები, გადაეწყო საყრდენი ქვის სვეტი და მასზე მოეწყო ახალი ხის კოჭების კონსტრუქცია.

**ჩამოთვლილი სამუშაოებისთვის სააგენტომ დახარჯა 149 700 ლარი. რეაბილიტაცია ჩაატარა ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ – შპს „არქიტექსმა“.**

შატილის ციხე-კოშკები ქართული სამშენებლო ხელოვნების უნიკალური ძეგლია. კლდეზე შეფენილი სოფელი ერთდროულად საცხოვრებელ და ციხესიმაგრის ფუნქციას ითავსებდა. სოფლის განაპირს მიუყვება მიჯრით ნაგები ციხე-სახლები, რომლებიც მიუვალ კედელს ქმნის. შატილის განაშენიანება ტერასულია, შენობა-ნაგებობების ძირითადი ტიპია ბანიანი სახლები და კოშკები. საყურადღებოა ბანებს შორის გადასასვლელები, რომელთა მეშვეობით მტრის შემოსევის დროს მთელი სოფლის შემოვლა გარეთ გამოსვლის გარეშე შეიძლებოდა. შატილის კოშკები საუკუნეების მანძილზე დარაჯობდა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს.



◉ ლიდერი




**ეტყობა, ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა. სხვა რა უნდა იფიქრო კაცმა, როცა თორნიკე შენგელიას საგმირო-ჰეროიკულ თავგადასავლებზე საუბრობ.**

**ფინეთი – საქართველო**
**83:90**
**(25:20, 23:23, 15:19, 20:28)**

**საქართველო:** შენგელია – 24, ბოლდუინი – 23, შერმადინი – 10, სანაძე – 9, ბურჯანაძე – 7, ანდრონიკაშვილი – 6, ჯინჭარაძე – 6, ფევაძე – 5 ქულა.

**მთავარი მწვრთნელი** – ალექსანდრ ჯიკიჩი.

წინა დღეს ჯვაროსანთა კაპიტანმა ევროლიგის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტთან პანათინაიკოსთან მძაფრ ბრძოლაში 23 ქულით ულიდერა ვირტუსს, რომელშიც იტალიელები 82:86 დამარცხდნენ, შემდეგ 15 საათი ქალაქ ესპოომდე მომქანცველ მგზავრობას მოანდომა და უვარჯიშებელმა „სუტკაზე" ნაკლებ დროში პარტნიორებს ევრობასკეტის ჯგუფური რაუნდის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მოაგებინა, თანაც დასკვნით მეოთხედში შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში 4(!) სამქულიანი ჩააგდო.

აქვე ფსიქოლოგიური სიმტკიცე უნდა შევუქოთ მთელ გუნდს, გამორჩეულად კი – ნატურალიზებულ ამერიკელ გამთამაშებელს **კამარ ბოლდუინს,** რომელმაც თამაშამდე ორიოდე ვარჯიში მოასწრო, მაგრამ ჩვენს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი მაინც სოლიდური 23 ქულით აღნიშნა. განსაკუთრებით ფასეული გახლდათ მის მიერ 83:82-ზე ჩაგდებული უძვირფასესი სამქულიანი, როცა მეტოქემ თითქმის უიმედო ჩამორჩენა ამოგვიქაჩა და ჰაერში სტუმართა ზედიზედ მესამე მარცხის სუნი დატრიალდა.

ზემოთ ჯიკიჩის შეგირდთა ხასიათის გაუტეხლობას შემთხვევით როდი გავუსვით ხაზი – მთელი 3 პერიოდის განმავლობაში მდევრის როლში ვიყავით და ერთ ეპიზოდში მასპინძელთა უპირატესობამ 13 ქულასაც კი მიაღწია – 60:47, რაც ბევრს შეურყევდა საკუთარი ძალების რწმენას, მაგრამ უდიდესმა მოტივაციამ და ცალკეულ სოლისტთა უმაღლესმა კლასმა ლამის გამოტირებული მატჩის გადარჩენის საშუალება მოგვცა.

არადა, როგორც გვჩვევია, შეხვედრის წინ ზოგ-ზოგიერთები ტურნირის რეგლამენტის გათვალისწინებით ჰუმანიტარულ გამარჯვებას გვიწინასწარმეტყველებდნენ – აქაოდა როგორც მომავალი ფორუმის ერთ-ერთ ორგანიზატორს, ფინეთს ისედაც გარანტირებული აქვს ევრობასკეტში მონაწილეობა და ჩვენთან ნახევარი ძალით იბურთავებსო. ნეტარ არიან მორწმუნენი!

სინამდვილეში პირიქით მოხდა – კარგახნის განმავლობაში სკანდინავიელები დიდ უპირატესობას ფლობდნენ როგორც ორივე ფარქვეშ, ისე, ტრადიციისამებრ, პერიმეტრიდან ზუსტ ტყორცნებში, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემოდგომა ჩვენს ქუჩაზეც მოვიდა, ხოლო მას შემდეგ, რაც სერბეთმა ჩვენს უშუალო კონკურენტთან – დანიასთან კოპენჰაგენში წაივარჯიშა – 72:52, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეშვიდედ გაღწევის შანსები საკმაოდ გაგვეზარდა – საამისოდ შინ ფინეთი და დანია უნდა დავამარცხოთ, რაც, დაგვეთანხმებით, უტოპიურად სრულიადაც არ გამოიყურება.

იმავე დღეს ქართული კალათბურთისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა – ჯვაროსანთა თავკაცის თანაშემწე **მანუჩარ მარკოიშვილი** თანამემამულეთაგან პირველია, ვინც ევროლიგაში მონაკოს მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის რანგში ფრანგული დერბი ვილერბანთან მოაგებინა – 103:92. ქართველ სპეციალისტს შარშანდელი ოთხთა ფინალის მონაწილის ბოსებმა ნდობა მას შემდეგ გამოუცხადეს, რაც თანამდებობა საშა ობრადოვიჩმა დატოვა.

◉ ერთა ლიგა

# ბრძოლა გრძელდება

**მაშ ასე, ერთა ლიგის „ბ" დივიზიონში დასარჩენ პლეი-ოფში საქართველოსა და სომხეთის ნაკრებები შეხვდებიან ერთმანეთს 20 და 23 მარტს, შესაბამისად, სტუმრად და შინ, პირველ მატჩში კი ვილი სანიოლის გუნდს დისკვალიფიკაციის გამო კაშია და კვარაცხელია ვერ დაეხმარებიან.**

როგორც მოგეხსენებათ, მეზობელთა პრინციპული ბრძოლების ისტორია სათავეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებიდან იღებს და ჩვენებურთა საერთო დადებით ბალანსთან ერთად არაერთი აღსანიშნავი ფაქტითაა გამოსარჩევი, მათგან რამდენიმე კი, დაგვეთანხმებით, ნამდვილად იმსახურებს გახსენებას.

უპირველესად, დავასახელებთ ქართული ფეხბურთის პირველი ოქროს თაობის აწ გარდაცვლილი კოლორიტის **ილია დათუნაშვილის** ინდივიდუალურ მიღწევას, რომელმაც ერთი ტაიმის განმავლობაში მეტოქეს ერთბაშად 5(!) გოლი გაუტანა.

ქრონოლოგიურად არანაკლებ საამაყოდ გვესახება ერევანში რაზდანის სტადიონზე **მანუჩარ მაჩაიძის** გატანილი ულამაზესი ბურთით თბილისის დინამოს მიერ აღებული რევანში, რადგან პირველ წრეში არარატმა ვაკის ლოკომოტივზე მძიმე მარცხი გვაგემა – 4:0. სხვათა შორის, ახალგახსნილ სარბიელზე მასპინძლებს მანამდე სამივე მატჩი მშრალი ანგარიშით ჰქონდათ მოგებული და თამაში ცენტრიდან პირველად სწორედ მაჩაიძემ განაახლებინათ.

ბუნებრივია, განსაკუთრებით გვეძვირფასება 1976 წლის 3 სექტემბერს მოსკოვის ლუჟნიკებში საკავშირო თასის გათამაშების ფინალში გატეხილი ნავსი 3:0 (**ყიფიანი, კანთელაძე** – პენალტით, **ჩელებაძე**) და მეექვსე ცდიდან სანუკვარი ტიტულის პირველად მოხვეჭა, თუმცა იმავე პერიოდს უკავშირდება ტრაგიკომიკური შემთხვევაც, როცა 1:1-ზე ბოლო წუთზე **ჩელებაძემ** ცარიელ კარს ააცილა ბურთი, ის კი ალბათ ბევრს აღარც ახსოვს, რომ მანამდე რამდენიმე წუთით ადრე ანგარიში სწორედ ჩელემ გაათანაბრა.

ვფიქრობთ, აუცილებლად მოსაგონარია დინამოელთა მიერ სტუმრად **სულაქველიძის** მინდვრიდან გაძევების მიუხედავად მოპოვებული ღირსეული გამარჯვება – 4:1, ან თუნდაც თბილისში კუთხურის ჩვეული ელეგანტურობით დასრულებული **ყიფიან-გუცაევის** შედეგიანი კომბინაცია. ეჰ, გასახსენებელს რა გამოლევს.

რაც შეეხება დამოუკიდებლობის პერიოდს, კარგა ხანს სარეკორდოდ რჩებოდა თბილისში მასპინძელთა მიერ დადგმული დაუვიწყარი სპექტაკლი – 7:0, რომელიც ძმების **არველაძეების** ბენეფისად იქცა, სულ გამართულ 7 შეხვედრაში კი მცირე უპირატესობა ასევე ჯვაროსანთა მხარესაა – 3 გამარჯვება, 2 ფრე და 2 წაგება.

მოკლედ, გაზაფხულზე ქართულ სპორტში ახალი სასახელო ფურცლის ჩაწერის იმედი გვაქვს!



◉ ორიოდე სიტყვით

**რაგბი**

**პრაღა (ჩეხეთი).** 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ფინალი. საქართველო – ესპანეთი 32:11. ეს უმცროს ბორჯღალოსანთა მე-9 ფინალი და ზედიზედ მე-6(!) ტრიუმფია.




**პარაძიუდო**

**ყაზახეთი.** ასტანა 2024 გრან პრის გათამაშება უსინათლოთა შორის. **ოქრო** – საბა ბაღდავაძე (81 კგ).

**ფიგურული სრიალი**

**პოლონეთი.** ვარშავის ჩელენჯერის სერიის საერთაშორისო ტურნირი 14 ქვეყნის 15 სპორტული წყვილის მონაწილეობით. **ოქრო** – ანასტასია მეტელკინა, ლუკა ბერულავა (ორი პროგრამის ჯამში – 202,03 ქულა).

**ფორმულა – 1**

**აშშ.** ლას ვეგასის გრან პრი. **მაქს ფერსტაპენი** (ნიდერლანდები, რედ ბული) – მე-5 ადგილი. იგი ზედიზედ მეოთხედ ვადამდე გახდა რბოლის ჩემპიონი.

◉ კოლეგები

# გიგა გვენცაძე – 4 წლით

**ახალი პარლამენტი, ახალი მთავრობა, ახალი პრეზიდენტი და, აჰა, მათზე ადრე ახალი თავკაცი უკვე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას ჰყავს 55 წლის პოპულარული ტელეკომენტატორის გიგა გვენცაძის სახით, რომელსაც კოლეგებმა ნდობა ორ საარჩევნო ვადაამოწურული მიხეილ აბაიშვილის ნაცვლად გამოუცხადეს.**



საანგარიშო კონფერენციას გუშინ დინამოს სტადიონის საბრიფინგო დარბაზმა უმასპინძლა ხმის უფლების მქონე მედიის 100-მდე წარმომადგენლის მონაწილეობით, საპატიო სტუმრებად კი მოწვეულნი იყვნენ კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **შალვა გოგოლაძე,** საკანონმდებლო ორგანოს სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი მეძმარიაშვილი** და სეოკ-ის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი.**

როგორც მოგეხსენებათ, დაახლოებით დეკემბრის შუა რიცხვებიდან სპორტის სამინისტრო დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული გახდება, ამიტომ მისმა მომავალმა ხელმძღვანელმა შალვა გოგოლაძემ და მიხეილ აბაიშვილმა ყურადღება გაამახვილეს როგორც აქამდე არსებულ თანამშრომლობაზე, ისე – განსაკუთრებით – მისი გაღრმავების აუცილებლობაზე, საერთოდ კი გამოიკვეთა ქართულ სპორტში და მის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილში – სპორტულ ჟურნალისტიკაში სახელმწიფოს როლის კიდევ უფრო გაზრდის პრიორიტეტულობა.

რაც შეეხება დღის წესრიგის უმთავრეს საკითხს, დაწინაურების ერთადერთი კანდიდატის ფაქტორის გათვალისწინებით, ქვორუმმა უპირატესობა ღია კენჭისყრას მიანიჭა და რჩეული ერთხმად გამოავლინა, ვიცე-პრეზიდენტები **ბიძინა ბარათაშვილი, მიხეილ აბაიშვილი** და **თენგიზ პაჭკორია** იქნებიან, გენერალური მდივანი კი – **ზურაბ თალაკვაძე.** აირჩიეს აგრეთვე სსჟა-ს საპატიო პრეზიდენტი – **თენგიზ გაჩეჩილაძე** და აღმასკომის განახლებული შემადგენლობა.

◉ კორტზე

# ლენდლიდან – სინერამდე

**გადატვირთულმა საფეხბურთო-სარაგბო-საკალათბურთო კვირამ დაუმსახურებლად მიგვავიწყა საჩოგბურთო სამყაროში განვითარებული უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რის გამოსწორებასაც ამჯერად შევეცდებით.**

ალბათ, მიხვდებოდით, რომ მხედველობაში გვაქვს იტალიურ ტურინში გამართული სეზონის შემაჯამებელი ტურნირი 8 ბობოლის მონაწილეობით, რომელიც კორტის მასპინძლის, რეიტინგის ლიდერ **იანიკ სინერის** ტრიუმფით დასრულდა ისე, რომ მას მთელი ასპარეზობის განმავლობაში ერთი პარტიაც კი არ წაუგია.

ბევრმა შესაძლებელია ეს ფაქტი უპრეცედენტოდ მიიჩნიოს, მაგრამ მათ გასაგონად ვაცხადებთ, რომ მსგავსი მიღწევის ავტორი უკანასკნელად უკვე შორეულ 1986 წელს ჩეხი ლეგენდა **ივან ლენდლი** გახდა.

ეს ისე, ცნობისთვის.

# საიდან და როგორ დაიწყო შავი პარასკევის ისტორია?!




**ალბათ, გინახავთ კადრები, როგორ ცდილობენ ზღურბლთან მომლოდინე ადამიანები კარის გახსნისთანავე მაღაზიაში მთელი სისწრაფით შეღწევას და სასურველი ნივთის წამიერად დასაკუთრებას — ეს „შავი პარასკევია“, აშშ-ში და უკვე მთელ მსოფლიოში წლის ყველაზე ხმაურიანი და აქტიური სავაჭრო დღე. ყოველ წელს, ნოემბრის ბოლო პარასკევს მაღაზიები სპეციალურ ფასდაკლებებს თითქმის ყველა სახის პროდუქტზე აწესებენ და მომხმარებლებს ადგილზე თუ ონლაინ ეფექტური შემოთავაზებებით იზიდავენ. სავაჭრო ობიექტებთან რიგები წინა საღამოდან დგება, რადგან ამ დღეს ადამიანები მთელი წელი ელიან.**

და მაინც, რატომ გახდა ერთი დღე თითქმის მთელ მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზული სავაჭრო თარიღი — ისეთივე გრანდიოზული, როგორიც ამ დღეს დაწესებული ფასდაკლებებია? ჩვენ მოგითხრობთ, საიდან და როგორ დაიწყო შავი პარასკევის ისტორია და რატომ მიიღო მან ეს სახელი.

### საიდან მოდის ტერმინი „შავი პარასკევი“?!

**როგორც** ბევრი ტრადიციის შემთხვევაში, „შავი პარასკევის“ ეტიმოლოგიაზეც ერთი აზრი არ არსებობს. ბევრი მიიჩნევს, რომ ტერმინი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დამკვიდრდა. მაშინ მაღაზიებში საბუღალტრო საქმეები ჯერ კიდევ ხელით იწერებოდა, წითელი მელნით ზარალს აღნიშნავდნენ, შავით კი — მოგებას, შესაბამისად, მადლიერების დღის მეორე დღიდან, როცა ადამიანები შობისთვის მზადებას აქტიურად იწყებდნენ, მაღაზიები „წითელი“ ზონიდან „შავში“ გადადიოდნენ.

მეორე ვერსიით, „შავი პარასკევი“, როგორც ტერმინი, უფრო ადრე, 1896 წელს გამოიყენეს. მაშინ ორმა ინვესტორმა ჯეი გოულდმა და ჯიმ ფრისკმა ამერიკის ოქროს ბირჟაზე მანიპულაციების მეშვეობით უდიდესი კრიზისი გამოიწვიეს. რაც შეიძლება მეტი ოქრო შეიძინეს, რათა ფასები გაზრდილიყო და ძვირფასი ლითონი ძვირად გაეყიდათ, თუმცა პრეზიდენტ გრანტის საბაზრო ინტერვენციებით ამ გეგმამ კრახი განიცადა — ბაზარზე ფასები დაეცა და ათასობით ამერიკელი გაკოტრების პირამდე მივიდა.

შავ პარასკევს უარყოფითი დატვირთვა გასული საუკუნის 20-იან წლებშიც ჰქონდა. მაშინ ბიზნესის მფლობელები წუხდნენ, რომ მუშები მადლიერების დღის მომდევნო პარასკევს სამსახურს ავადმყოფობის მიზეზით აცდენდნენ, შესაბამისად, აფერხებდნენ კომპანიას და ეკონომიკასაც პრობლემებს უქმნიდნენ.

კიდევ უფრო სარწმუნო მოსაზრების თანახმად, ტერმინი 1950 წელს, ფილადელფიაში „დაიბადა“, როცა მადლიერების დღის მომდევნო პარასკევ დღეს უამრავმა ტურისტმა მოიყარა თავი საშობაო ვაჭრობისთვის და ყოველწლიურ სანახაობაზე, ამერიკული ფეხბურთის სახელგანთქმულ მატჩზე, **Army-Navy game**-ზე დასასწრებად. მაშინ ქუჩებში იმდენი ადამიანი გამოეფინა, რომ ხალხის ნაკადთან, საცობებთან, ავარიებთან და ქურდობებთან გასამკლავებლად პოლიციელებს დიდი დრო დასჭირდათ.

ფილადელფიელმა მოვაჭრეებმა, ბევრი მცდელობის მიუხედავად, „შავი პარასკევის“ ნაცვლად უფრო შელამაზებული ტერმინი „დიდი პარასკევი“ ყოველდღიურ გამოყენებაში ვერ დაამკვიდრეს. 80-იანი წლების ბოლოსთვის ტერმინი „შავი პარასკევი“ და თავად ტრადიცია მთელ ქვეყანაში გავრცელდა. ხალხში კი მაღაზიების “შავ-წითელი“ ბუღალტრული ჩანაწერების შესახებ ზემოხსენებულმა ისტორიამ მოიკიდა ფეხი.

### რატომ გახდა შავი პარასკევი პოპულარული?

**გასული** საუკუნის დასაწყისში ერთგვარი დაუწერელი კანონი გახდა, რომ არცერთი მოვაჭრე არ დაიწყებდა საშობაო რეკლამების განთავსებას მანამ, სანამ მადლიერების დღის აღლუმი არ დასრულდებოდა. დროდადრო მათ ისიც გააანალიზეს, რომ ფასების დაკლებით ბევრი ადამიანის მიზიდვა შეეძლოთ და ეს შობის წინა საღამოს, ბოლო წუთს, ფასდაკლებების გამოცხადებაზე ბევრად უფრო მოსახერხებელი და შემოსავლიანი იყო. ასე დამკვიდრდა შავი პარასკევის ტრადიცია.

დღეს შავ პარასკევს მსოფლიოს გარშემო მილიონობით სავაჭრო ობიექტი „აღნიშნავს“. ამერიკაში ზოგიერთი მათგანი მადლიერების დღესვე, დილიდან აწესებს ფასდაკლებას, ზოგიც კი დღეებით ან კვირებით ადრე აგზავნის სარეკლამო განცხადებებს ფასდაკლებების შესახებ.

ამ დღეს ყველაზე დიდი მოთხოვნა ელექტრონულ მოწყობილობებსა და სათამაშოებზეა და გრანდიოზული ფასდაკლებებიც, როგორც წესი, სწორედ ამ ნივთებზე ვრცელდება. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ „შავ პარასკევს“ ყველაფერი იყიდება, ტანსაცმლითა და საყოფაცხოვრებო ნივთებიდან დაწყებული, ავეჯით დამთავრებული...




# კუროები, ლომები, ქალწულები, მორიელები, თხის რქები 2025 წელს გამდიდრდებიან



**კუროს** ნიშნის წარმომადგენლებისთვის 2025 წელს ფინანსური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პერიოდი იქნება. შემოსავალი საგრძნობლად გაგეზრდებათ და შეძლებთ, თანხა უძრავ ქონებაში ჩადოთ ან შეიძინოთ ის, რაზეც დიდი ხანია, ოცნებობთ. როგორც ასტროლოგები ამბობენ, გამძლეობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, ამ ნიშნის წარმომადგენლები მნიშვნელოვანი მატერიალური წარმატების მიღწევას შეძლებენ. 2025 წლის მთავარი სიმბოლო ასევე დაგეხმარებათ, ახალ პროექტებზე იმუშაოთ და განსხვავებული მიმართულებები სცადოთ.



**ლომი.** ლომებს ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვართ და გამონაკლისი არც 2025 წელი იქნება. როგორც ასტროლოგები ამბობენ, ლომის ნიშნის წარმომადგენლები 2025 წელს საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებს ყველაზე უკეთ გამოიყენებენ და დაიწყებენ იმ საქმეების განხორციელებას, რომლებზეც სულ ფიქრობდნენ, მაგრამ აქამდე რაღაც უშლიდათ ხელს. გველის წელი საქმიანი გარიგებებისა და კონტრაქტების გაფორმებისათვის იდეალურია. განსაკუთრებით გაუმართლებთ მათ, ვინც ბიზნესისა და მენეჯმენტის მიმართულებით მუშაობს.



**ქალწული**. ქალწულებს გველის წელი სტაბილურობასა და ფინანსური შესაძლებლობების გაფართოებას მოუტანს. 2025 წელი არის ყველაზე კარგი დრო იმისათვის, რომ თქვენი ცოდნაც გააუმჯობესოთ და გამოცდილებაც გამოიყენოთ იმისათვის, რომ დაწინაურდეთ. როგორც ასტროლოგები ამბობენ, ამ ნიშნის წარმომადგენლები შეძლებენ, გრძელვადიან პროექტებსა და დანაზოგებს მყარი საფუძველი ჩაუყარონ, რაც მათ ფინანსურ მდგომარეობას გააძლიერებს.



**მორიელი.** 2025 წელს მორიელის ნიშნის წარმომადგენლებს ფინანსური თვალსაზრისით რადიკალური ცვლილებები ელოდებათ. მონდომებითა და რთული გადაწყვეტილებების მიღების უნარით, შემოსავლის გაზრდას შეძლებთ. მწვანე ხის გველი მორიელის ნიშნის წარმომადგენლებს მისცემს შესაძლებლობას, რომ საკუთარი კარიერა, ბიზნესი თუ წამოწყება განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ, დაწინაურდნენ და მატერიალური მდგომარეობაც გაიუმჯობესონ.



**თხის რქა.** თხის რქები ყოველთვის შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. 2025 წელს მათ ეს თვისება ფინანსური წარმატების მიღწევაში განსაკუთრებით დაეხმარებათ. თხის რქის ნიშნის წარმომადგენლები ფინანსების სასურველი მიმართულებით ინვესტირებას შეძლებენ. გველის წელი განვითარების ახალ პერსპექტივებს გახსნის და კარიერასა და ბიზნესში უფრო დიდი სიმაღლეების მიღწევაში დაგეხმარებათ.

## კიდევ ერთი ტრაგედია!

### მკვლელობა კახეთში – გარდაცვლილია ორი ახალგაზრდა

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში გარდაცვლილია ორი ახალგაზრდა.**

30 წლამდე ასაკის მამაკაცები სოფლის ცენტრში ერთმანეთს გუშინ ცეცხლსასროლი იარაღით გაუსწორდნენ.

ადგილობრივების ინფორმაციით, მკვლელობის მიზეზი შურისძიება გახდა.

კარდენახში ყვებიან, რომ ახალგაზრდებს ერთმანეთთან წლების განმავლობაში დაპირისპირება ჰქონდათ.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებულია იყო პოლიცია, რომელიც მომხდარის დეტალებს სწავლობს...




# კესარია აბრამიძის მკვლელობაში ბრალდებული შერაცხადია

**37 წლის ტრანსგენდერი ქალის კესარია აბრამიძის განსაკუთრებული სისასტიკით, გენდერის ნიშნით განზრახ მკვლელობაში ბრალდებული 26 წლის ბექა ჯაიანი, ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შერაცხადია.**

ინფორმაციას დაზარალებულის ოჯახის ადვოკატი ლექსო სვიმონიშვილი ადასტურებს.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილებით, ბექა ჯაიანი დანაშაულის ჩადენის მომენტში შეურაცხადი არ იყო.

ექსპერტიზის ჩასატარებლად ჯაიანი მოსამართლის განჩინების შემდეგ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში მოათავსეს.

ცნობისთვის, 37 წლის ტრანსგენდერი ქალის კესარია აბრამიძის განსაკუთრებული სისასტიკით, გენდერის ნიშნით განზრახ მკვლელობაში ბრალდებული 26 წლის ბექა ჯაიანი ქუთაისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „თ“ და „მ“ პუნქტებით მიმდინარეობს, რაც გენდერის ნიშნით განსაკუთრებული სისასტიკით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.



# გერმანიაში ქართველ ქალს პატიმრობა მიესაჯა!

**56 წლის ქართველმა ქალმა, რომელიც გერმანიაში ტურისტული სააგენტოს მფლობელი იყო, ნიურნბერგის სასამართლოში აღიარა, რომ თავისი ბიზნესსაქმიანობა გერმანიაში ქართველების არალეგალური გზით შეყვანისთვის გამოიყენა. სასამართლომ მას 3 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ქალმა შექმნა „სრული პაკეტის“ ტიპის სერვისი, რომელიც მოიცავდა ყალბი დოკუმენტების დამზადებას, ფრენების ორგანიზებას და სამუშაო ადგილების მოძიებას. თითოეული ადამიანისთვის ამ „სერვისის“ საფასური 150-200 ევროს შეადგენდა.

საქმეში ფიგურირებს კიდევ ერთი ქალი – ნიურნბერგის ერთ-ერთი რესტორნის მფლობელი, რომელმაც არალეგალების დასაქმებაში მიიღო მონაწილეობა. მას 15 600 ევროს ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.



# ტაილანდში ტურისტები სასმლით მოიწამლნენ

**ტაილანდში სასმლით ინტოქსიკაციით კიდევ ერთი ტურისტი – 19 წლის ჰოლი ბოულზი გარდაიცვალა. იქამდე ინტოქსიკაციამ მისი მეგობარი ბიანკა ჯონსი იმსხვერპლა. მათ ტაილანდის დედაქალაქში მდებარე ერთ-ერთ ჰოსტელში დალიეს. დაკავებულია დაწესებულების მენეჯერი.**

ამავე ჰოსტელში სასმლის მიღების შემდეგ გარდაიცვალა 20 წლამდე ასაკის ორი გოგო. ისინი დანიელი ტურისტები იყვნენ. ასევე, გარდაცვლილია ამერიკელი ტურისტი – 57 წლის კაცი.

თითქმის ორი კვირის წინ, ასევე სასმლით ინტოქსიკაცია გახდა კიდევ ერთი ტურისტის – 28 წლის ბრიტანელი კაცის გარდაცვალების მიზეზი.



# გიორგობის დღესასწაულზე კიდევ 700 ბავშვი მოინათლა

**ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი შალვა კეკელია საზოგადოებას გიორგობას ულოცავს. დეკანოზის თქმით, 23 ნოემბერს გაიმართა პატრიარქის ნათლობის 70-ე ეტაპი, რა დროსაც 700 ბავშვი მოინათლა.**

„დღეს უმნიშვნელოვანესი დღეა ჩვენი ერისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენს ქვეყანას იფარავს და იცავს წმინდა გიორგი და ქართველებს უდიდესი პატივისცემა გვაქვს წმინდა გიორგის მიმართ გამოხატული. შემთხვევითი არ არის, რომ 20 წლის წინ ეს საოცარი ტაძარი - სამების ტაძარი გაიხსნა.

მინდა, რომ თითოეულ ამ ქვეყნის შვილს მივულოცო დღევანდელი დღე – წმინდა გიორგობა. დღეს, ასევე ტარდება პატრიარქის ნათლობები, 70-ე ეტაპია პატრიარქის ნათლობებისა. უკვე დღევანდელ დღემდე მონათლულია 48 500 ბავშვი, დღევანდელ დღეს კიდევ 700 ბავშვი ინათლება. ღმერთმა ამ ქვეყანაში არასდროს მოშალოს ჩვენი სწორი დამოკიდებულება ჩვენი სარწმუნოების მიმართ!..“

# გიგა ბათიაშვილის მომავლის პროექტები...

## კულტურის სამინისტრომ გიორგი (გიგა) ბათიაშვილის საიუბილეო წიგნი-ალბომის წარდგენას უმასპინძლა

**კულტურისა და სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში საქართველოს დამსახურებული არქიტექტორისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის საპატიო მოქალაქის, საერთაშორისო აკადემიების ნამდვილი და საპატიო წევრის გიორგი (გიგა) ბათიაშვილის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად (დაბადებიდან 90 წელი), საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ გამოცემული ორენოვანი საიუბილეო წიგნი-ალბომის – „გიგა ბათიაშვილი – მომავლის პროექტები და ხედვა“ – წარდგენა გაიმართა.**

ღონისძიებას ესწრებოდნენ: კულტურისა და სპორტის მინისტრი **თინათინ რუხაძე,** მინისტრის მოადგილე **ბექა დავითულიანი,** თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი **ყარამან ქუთათელაძე,** საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე **დავით აბულაძე,** სამხატვრო აკადემიის პედაგოგები, სტუდენტები და არქიტექტორის კოლეგები.

„ალბომი გვაცნობს ოჯახის ხელთ არსებულ გიგა ბათიაშვილის შემოქმედების საინტერესო და თითქმის უცნობ, როგორც თავად ავტორი უწოდებდა, **„არქიტექტურულ ესეებს“** (მომავლის პროექტები და ხედვა), უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც მშობლიურ თბილისთან მისი ურთიერთობის ნაყოფია.

„არქიტექტურული ესეები“ კონკრეტული უბნებისა და ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიის მომავალი განვითარების ხედვით გამდიდრებული არქიტექტურული ჩანახატები და საპროექტო იდეებია, რომელთაც ახლავს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ავტორისავე განმარტებები, აღწერა, თვალსაზრისი.

პრეზენტაცია ორგანიზაცია „აი სტუდიოს“ ავტორობითა და კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით გაიმართა“, – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.




**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7384; ევრო - 2.8548;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4293;**
**100 რუბლი - 2.6619; თურქული ლირა - 0.0792;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6107;**
**1000 სომხური დრამი - 7.0327.**

# რეკორდულ ფასად გაყიდული ნახატი

**რენე მაგრიტის სიურრეალისტური ნახატი რეკორდულ ფასად, $121 მილიონად გაიყიდა.**

1954 წელს ეს ნახატი 95 მილიონ დოლარად იყო შეფასებული, ხოლო მაგრიტის ნახატების რეკორდული ფასი აქამდე 79 მილიონი დოლარი იყო.

მაგრიტის ნახატისთვის „ბრძოლა“ დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, საბოლოოდ კი ნახატი — სინათლის იმპერია (**L'Empire des lumieres**) 121,160,000 დოლარად შეიძინეს. ეს ფასი სიურრეალისტური ხელოვნების ნიმუშისთვის მსოფლიო რეკორდს წარმოადგენს.

ნახატი, რომელზეც სახლია გამოსახული და ღამის სიბნელეს განათებული ლამპიონი აქარწყლებს, ბელგიელი მხატვრის ერთ-ერთი სერიიდანაა, რომელშიც მხატვარმა ჩრდილისა და სინათლის ურთიერთკავშირი ასახა.



აღნიშნული ნახატი აქამდე რუმინელ კოლექციონერს მიკა ერტეგუნის კოლექციის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც აშშ-ში წლების წინ დასახლდა და ხელოვნების სამყაროში ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად იქცა.

# შემაშფოთებელი აღმოჩენა „დედამიწის ფსკერზე“




**მეცნიერებმა შემაშფოთებელი აღმოჩენა გააკეთეს Challenger Deep-ის სიღრმეში. მათ დედამიწის ყველაზე ღრმა წერტილში ლუდის ბოთლი აღმოაჩინეს. ამის შესახებ უცხოური მედია წერს.**

**Challenger Deep** არის დედამიწის ფსკერის ყველაზე ღრმა ცნობილი წერტილი, რომელიც მდებარეობს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში.

როგორც მეცნიერები ამბობენ, საკმაოდ დამაფიქრებელია, რომ ამ რეგიონში ლუდის ბოთლი იპოვეს.

ნაგვის ნარჩენი აღმოაჩინა ოკეანოგრაფმა დონი რაიტმა, რომელმაც თავისი დასკვნები სოციალურ მედიაში გააზიარა.

„ამ გადაგდებულმა ნაგავმა მოახერხა ჩვენი სამყაროს დაუცველ ნაწილამდე მისვლა, ვიდრე ჩვენ რეალურად მივაღწევდით – სიმბოლო იმისა, თუ რამდენად ღრმად და შეუქცევად ზემოქმედებენ ადამიანები ბუნებრივ სამყაროზე“, – თქვა მკვლევარმა.

# ყველაზე მაღალი ცხოველი საფრთხეშია

**ჟირაფების პოპულაცია საგანგაშოდ სწრაფი ტემპებით მცირდება, ამის მიზეზი ბრაკონიერობა, ურბანიზაცია და გვალვაა, რომელიც მსოფლიო კლიმატის ცვლილებამ გამოიწვია. ინფორმაციას CNN-ი ავრცელებს.**

აშშ-ის თევზისა და ველური ბუნების დაცვის სამსახური გამოვიდა ინიციატივით, რომ ჟირაფების რამდენიმე სახეობა საფრთხის ქვეშ მყოფი ან გადაშენების პირას მყოფი ცხოველების კატეგორიაში მოექცეს.

ფედერალურ დაცვას პირველად, გადაშენების პირას მყოფი სახეობების აქტის მიხედვით, აფრიკაში ბინადარი ჟირაფები მიიღებენ.

სახეობის „გადაშენების საფრთხის ქვეშ“ მყოფად გამოცხადება, კანონის მიხედვით, საფრთხის ყველაზე მაღალი დონეა, რაც მიუთითებს, რომ სახეობა გადაშენების უშუალო საფრთხის წინაშე დგას ან შესაძლოა, უახლოეს მომავალში დადგეს ეს საშიშროება.



საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 27 ნოემბერს**